E-171
1984

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

ISSN 0206-2674

თბილისი
1984

სექტემბერი № 9 СЕНТЯБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
## 1984 წლის 2 ივლისის ბრძანება № 501

### ნორჩ ფიზიკოსთა 37-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

F-5269

37-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 4468 მოსწავლემ, მათ შორის 2713-მა სოფლის სკოლებიდან; სარაიონო (საქალაქო) ტურში 2315-მა მოსწავლემ, მათ შორის 1157-მა სოფლის სკოლებიდან. ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო 1531-მა მოსწავლემ, მათ შორის 612-მა სოფლის სკოლებიდან, ხოლო რესპუბლიკურ დასკვნით ტურში 232-მა მოსწავლემ, მათ შორის 84-მა სოფლის სკოლებიდან.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე ფიზიკის კარგი ცოდნა გამოავლინეს ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, თბილისის 77-ე, 42-ე და რესპუბლიკის სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

ოლიმპიადის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით 19 მოსწავლემ დაიმსახურა I,II,III ხარისხის სიგელები.

გარკვეული წარმატებით აღინიშნა საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლა მოსწავლეთა მე-18 საკავშირო ოლიმპიადაზე. გუნდის ერთმა წევრმა დაიმსახურა II ხარისხის დიპლომი და სპეციალური პრიზი.

ამასთან ერთად, ნორჩ ფიზიკოსთა 37-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისას გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს საოლიმპიადო ხასიათის გამოთვლითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ საგანში სათანადო დონეზე არ დგას კლასგარეშე და წრეობრივი მუშაობა, მასწავლებლები არ ზრუნავენ საგნით დაინტერესებული ბავშვების გამოვლენისა და მათთან სათანადო მუშაობის წარმართვისათვის. ჯეროვანი კონტროლი არ არის დაწესებული ნორჩ ფიზიკოსთა წრეების მუშაობაზე. ნაკლებად ზრუნავს საგნით დაინტერესებული მოსწავლეების თეორიული და ექსპერიმენტული ცოდნის ამაღლებასა და ამოცანების ამოხსნის უნარ-ჩვევების განმტკიცებისათვის, სკოლებში მიზნობრივად არ არის გამოყენებული ფაკულტატიური კურსი საგნის გაღრმავებულად შესწავლისათვის.

ზონალური და რესპუბლიკური წერითი ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს კომბინირებული,

ს. ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

გრაფიკული, თვისობრივი და ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნის მეთოდიკას, უჭირს ამოცანის ზოგადი სახით ამოხსნა. ასე მაგალითად: რესპუბლიკურ ტურზე გრაფიკული სახის ამოცანა ამოხსნა მხოლოდ 6-მა მოსწავლემ.

ოლიმპიადის მზადებისა და ჩატარების საქმეს უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ სასკოლო და რაიონული ტურების ჩამატრებელი ცალკეული საორგანიზაციო კომიტეტები (ახალქალაქის, გურჯაანის, ლაგოდეხის, ლენტეხის, გარდაბნის, წალენჯიხის, წალკის, წყალტუბოს, თერჯოლის, ახმეტის, ზესტაფონის, კასპის რაიონების, ქ. ფოთის). მათ უყურადღებობა გამოიჩინეს ოლიმპიადის ჩატარების საქმისადმი, არ გაატარეს საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებანი, რის შედეგადაც აღნიშნული რაიონების არც ერთ მოსწავლეს მონაწილეობა არ მიუღია ფიზიკის ოლიმპიადის რესპუბლიკურ დასკვნით ტურში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნორჩ ფიზიკოსთა 37-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატებების მოპოვებისათვის დაჯილდოვდნენ I ხარისხის სიგელით 4 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით 9 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით 65 მოსწავლე.

2. 1984—1985 სასწავლო წელს ნორჩ ფიზიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო) ზონალური და რესპუბლიკური. სასკოლო ტური ჩატარდეს 1984 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) 1985 წლის იანვარში, ზონალური — 17 თებერვალს, ხოლო რესპუბლიკური დასკვნითი ტური 29-30 მარტს. რესპუბლიკური დასკვნითი ტური ჩატარდეს ქ. ბათუმში.

3. ნორჩ ფიზიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ცინცაძე ნ. ლ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

კიკაბიძე ლ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი, თავმჯდომარის მოადგილე

ჭანტურია ლ. ნ. — აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე

ეპიტაშვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი, საორგანიზაციო კომიტეტის მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალავერდაშვილი ა. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე·

დილდაროვა ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე

როსტომაშვილი გ. თ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი

ხაზარაძე ო. ს. — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

კიკნაძე ჯ. — თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი

ვადაჭკორია კ. — ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტი

გოგიშვილი კ. — ქ. ბათუმის განათლების განყოფილების ინსპექტორი

ცხადაია დ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

4. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას. პერიოდულად შეამოწმოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისას იხელმძღვანელოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1981 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული ფიზიკის ოლიმპიადის დებულებით.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) **უზრუნველყონ ნორჩ ფიზიკოსთა 37-ე** რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ფიზიკის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე;

ბ) მიაღწიონ ფიზიკის ოლიმპიადებში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობას, ამ მიზნით ყურადღება მიაქციონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასგარეშე მუშაობას, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში ჩამოყალიბონ ნორჩ ფიზიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაკულტატიური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარჩვევების დონის ამაღლებას;

გ) აღნიშნული ბრძანება დაიყვანონ სკოლებამდე და სკოლისგარე-

შე დაწესებულებებამდე და უზრუნველყონ მისი შესრულება.

6. აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ:

6. 1. შექმნას ფიზიკის ოლიმპიადის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ფიზიკის სპეციალისტების მონაწილეობით;

6. 2. შექმნას და კოლეგიაზე დაამტკიცოს ფიზიკის ოლიმპიადის ჟიური 5 კაცის შემადგენლობით;

6. 3. მოამზადოს ობიექტები ოლიმპიადის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების ჩასატარებლად, ოლიმპიადის მონაწილეთა, მათ ხელმძღვანელთა და რესპუბლიკური ჟიურის წევრთა დასაძინებლად და კვებისათვის;

6. 4. შეადგინოს სამუშაო გეგმა და წარმოადგინოს განათლების სამინისტროში.

7. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა შეარჩიონ ფიზიკით დაინტერესებული სათანადო მიდრეკილების მქონე მოსწავლეები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი გამოთვლითი, თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, მოსწავლეებში მტკიცედ დანერგონ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები და ფიზიკის ოლიმპიადები მაქსიმალურად გამოიყენონ მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის.

8. ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი ნ. ლ. ცინცაძე, წევრები — ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი გ. როსტომაშვილი; გამოეცხადოთ მადლობა გ. ეპიტაშვილს, რუსთავის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორს გ. გირინს, თბილისის 77-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ლ. ჯაშიაშვილს, თბილისის 52-ე საშუალო სკოლის დირექტორს კ. კალანდაძეს, თბილისის 55-ე და 126-ე საშუალო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებს.

9. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბიუჯეტში 1985 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩ ფიზიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ასიგნებანი.

10. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს 1985 წლისათვის გამოუყოს ნორჩ ფიზიკოსთა 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდი.

11. გაზეთ „სახალხო განათლების", ჟურნალების „სკოლა და ცხოვრების" და „ფიზიკა-მათემატიკა სკოლაში" რედაქციებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, ა. ძერია და ა. ბენდუქიძე) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

12. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს სკოლების სამმართველოს (ამხ. თ. ტატიშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება.

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება

### მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-17 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-18 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ცნობილი დადგენილება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, სახალხო განათლების ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების საქმეში. ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის კეთილისმყოფელი გავლენა აშკარად დაეტყო მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რომელიც წელსაც ორგანიზებულად ჩატარდა.

მიმდინარე, 1983—1984, სასწავლო წელს მოსწავლეთა მე-17 ლიტერატურული ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალურ და რესპუბლიკურ ტურებში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების VIII-IX-X კლასების მოსწავლეებმა.

დასკვნითი ტურის 500 მონაწილიდან გაიმარჯვა და პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა 27, მეორე ხარისხის სიგელით—73, მესამე ხარისხის სიგელით — 196 მოსწავლე.

ზონალურ და რესპუბლიკურ ტურებზე შესრულებული ნამუშევრების ანალიზმა გვიჩვენა, რომ უკანასკნელ წლებში საერთოდ ამაღლდა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების დონე. მასწავლებელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება მის წინაშე მდგარ საღეისო ამოცანებს, სათანადო ყურადღებას უთმობს როგორც პროგრამული მასალის შესწავლას, ისე კლასგარეშე კითხვას, წაკითხულის შესახებ მსჯელობას, სათანადო დასკვნების გაკეთებას, დამოუკიდებელი, ლოგიკური აზროვნების, სწორად წერისა და მეტყველების უნარ-ჩვევათა გამომუშავებას. ამის შედეგად მოსწავლეთა დიდი ნაწილი საკმაოდ განათლებული, წიგნიერია, აქვს საკითხის წვდომისა და ანალიზის უნარი, კარგად ახერხებს ენის კანონების პრაქტიკულად გამოყენებას, ლიტერატურული მასალიდან სათანადო ადგილების მოხმობას, გაგებას და თხზულებასთან მათ მისადაგებას.

მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატებებს მიაღწიეს: ქ. თბილისის 62-ე, 124-ე, 130-ე, 140-ე, 142-ე, 152-ე. 159-ე, ქ. ქუთაისის, ბათუმის მე-10, სოხუმის, ცხინვალის, რუსთავის, გორის, ქო—

ბულეთის, თერჯოლის, საგარეჯოს, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, საჩხერის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, მესტიის, ცაგერის, ონის, თიანეთის, დუშეთის, გურჯაანის ქართული, ქ. თბილისის მე-13, 42-ე, 63-ე, მე-80, 96-ე, 116-ე, 121-ე, ბათუმის მე-10, ცხინვალის მე-6, გორის მე-7, რუსთავის მე-3, მე-12, ახალციხის მე-4, გუდაუთის რაიონის სოფელ ბამბურის რუსული, ბოლნისის რაიონის სოფელ არახლოს, მარნეულის რაიონის სოფელ კიზილაჯლოს, დმანისის რაიონის სოფელ ზემო ორუზმანის აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებმა.

ოლიმპიადის ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს ვ. ურუშაძის, თ. სალიას, ლ. გვენცაძის, ქ. მიშველაძის, ლ. წიქარიშვილის, ვ. გოგრიჭიანის (ქ. თბილისის 126-ე, 159-ე, 62-ე, 130-ე საშუალო სკოლები), ბ. ჩაფიჩაძის, ლ. გიორგაძის, თ. გიორგაძის (თერჯოლის 1-ლი და ზედა საზანოს საშუალო სკოლები), თ. ძნელაძის, დ. ძნელაძის (ქობულეთის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. ხარჩილავას (წალენჯიხის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. მაისურაძის (ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთის საშუალო სკოლა), ზ. დარბაისელის, ი. ელერდაშვილის (საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლა), ნ. გვერდწითელის, ზ. დიდბერუაშვილის (გორის 1-ლი საშუალო სკოლა), ზ. ცირამუას (ჩხოროწყუს 1-ლი საშუალო სკოლა), მ. გვიშიანის (ქ. ქუთაისის რკინიგზის მე-11 საშუალო სკოლა), თ. ხარაძის (ორჯონიკიძის რაიონის რკინიგზის მე-10 საშუალო სკოლა), ი. დეკანოიძის (საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევის საშუალო სკოლა), ზ. ოსიტაშვილის (რუსთავის მე-10 საშუალო სკოლა) ვ. პეტრენკოს (თბილისის 96-ე საშუალო სკოლა), ს. პეტუვევიჩის (თბილისის 42-ე საშუალო სკოლა), ო. მამიჭეიშვილის (თბილისის 63-ე საშუალო სკოლა), ვ. გრიცკოვას (ბათუმის მე-10 საშუალო სკოლა), ნ. მკოიანის (ახალქალაქის მე-4 საშუალო სკოლა) კ. კრმაჯიანის (ბოგდანოვკის საშუალო სკოლა), რ. ზეინალოვას (მარნეულის რაიონის სოფელ კიზილაჯლოს საშუალო სკოლა), ს. ოსმალოვას (ბოლნისის რაიონის სოფელ არახლოს საშუალო სკოლა), რ. ქერიმოვას (ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოს საშუალო სკოლა), ფ. იუსუფოვას (დმანისის რაიონის სოფელ ზემო ორუზმანის საშუალო სკოლა) თხზულებებმა.

ამასთან, ოლიმპიადის ზონალური და დასკვნითი ტურების შედეგების ანალიზმა ისიც გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა ერთ ნაწილს უჭირს დამოუკიდებელი აზროვნება, თავისუფალი თემების სწორად გააზრება, საკუთარი ნააზრევის თანმიმდევრულად გადმოცემა, ფაქტების, მოვლენების განზოგადება. განსაკუთრებით დაბალი მომზადება გამოავლინეს: ცხაკაიას რაიონის სოფელ ნოსირის, ხულოს რაიონის სოფლების ოქტომბრის, ქონიაძეების, ღორჯომის, გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძის, ქ. თბილისის 33-ე, 133-ე, ქობულეთის მე-2, სამტრედიის მე-4, ბორჯო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის რაიონის დაბა ბაკურიანის, მარნეულის რაიონის სოფელ ბულავერის, რუსთავის მე-7 და გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარის საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

აღნიშნული სკოლების მოსწავლეთა წარუმატებლობა განპირობებულია იმით, რომ დასახელებულ სკოლებში მომუშავე მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების ერთი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს მოსწავლეთა წიგნიერების ამაღლებისათვის, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს კლასგარეშე კითხვას, არ იბრძვის მოსწავლეებში დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის.

აღნიშნული ნაკლოვანებანი იმის შედეგიცაა, რომ რიგი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები და მათი მეთოდური კაბინეტები სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობას, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან აღნიშნული საგნის სწავლებაზე ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ მითითებათა შესრულებას, არ ითვალისწინებენ ოლიმპიადის მნიშვნელობას მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდაში.

ოლიმპიადისადმი სახალხო განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელთა უგულისყურო დამოკიდებულების შედეგად რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობა ვერ მიიღეს გაგრის, შუახევის,, ლენინგორის, ქარელის, დმანისის, მარნეულის ქართული, ქ. ქუთაისის, ტყიბულის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, დმანისის, ქარელის, კასპის, ყვარლის, ლაგოდეხის, მახარაძის, საგარეჯოს, თელავის, ხაშურის, წალენჯიხის, წალკის, წულუკიძის, ცხაკაიას რუსული, ქ. თბილისის 21-ე, 34-ე, 59-ე, 86-ე, ასპინძის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის სომხური, თეთრი წყაროსა და ლაგოდეხის რაიონების აზერბაიჯანული სკოლების მოსწავლეებმა.

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-17 რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდეს: პირველი ხარისხის სიგელით — 27 მოსწავლე, მეორე ხარისხის სიგელით—73 მოსწავლე, მესამე ხარისხის სიგელით — 196 მოსწავლე.

2. ოლიმპიადის დასკვნითი ტურის ორგანიზებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს „საქართველოს სსრ სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე ამხ. კ. სამყურაშვილი, დირექტორს ამხ. ლ. შეწირულს გამოეცხადოს მადლობა.

3. მე-18 რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ს. ხუციშვილი — თსუ ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის პროფესორი (თავმჯდომარე)
ვ. ქურციკიძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
ნ. ხანთაძე — ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილების გამგე (თავმჯდომარის მოადგილე)
ნ. ნადარეიშვილი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი
ზ. ბურდილაძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (მდივანი)
ვ. გასპარაშვილი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
ვ. შელემეტიევა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი
თ. კვაჭანტირაძე — ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" დამატების „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რედაქტორი, დოცენტი
რ. გაბეჩავა — ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა სექტორის გამგე, დოცენტი
ე. ზარქუა — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
ნ. რუხაძე — რესპუბლიკური სასწავლო-მეთოდური კაბინეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გამგე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ი. კასრაძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე
ნ. სამნიაშვილი — გორის რაიონის სოფელ შინდისის საშუალო სკოლის ქართულ ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი
დ. ბერიძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკათა კათედრის დოცენტი
ა. გუჯაბიძე — მასწავლებელთა დახელოვნების თბილისის საქალაქო ინსტიტუტის ქართულა ენისა და ლიტერატურის კაბინეტის გამგე
შ. მურადოვა — გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი

ვ. გრიგორიანი—მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდისტი

4. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-18 რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. ამასთან, განისაზღვროს მათი ჩატარების ვადები: სასკოლო და სარაიონო (საქალაქო)—1984 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ზონალური—1985 წლის 27 იანვარს, დასკვნითი — 1985 წლის 30-31 მარტს ქ. ქუთაისში.

5. ოლიმპიადის რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა ქმედითი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სკოლების, რაიონების (ქალაქების) და ზონების საორგანიზაციო კომიტეტებს ადგილებზე ოლიმპიადის მაღალ დონეზე ჩატარების საქმეში, მანვე მოამზადოს და სკოლებს დაუგზავნოს მეთოდური რეკომენდაციები საოლიმპიადო თხზულებებზე მუშაობის შესახებ.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

6. 1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილება „მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-17 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-18 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ" სათანადო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით გულდასმით განიხილონ და გააცნონ ამ საგნის მასწავლებლებს მეთოდგაერთიანებათა სხდომებზე;

6. 2. დროულად შექმნან ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო) და ზონალური ტურების ჩასატარებლად საორგანიზაციო კომიტეტები, განახორციელონ მათდამი საჭირო კონკრეტული ხელმძღვანელობა.

7. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საგნის შესწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა შერჩევას, ჩააბან ისინი საგნობრივ წრეებში, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათი მხატვრული, ლიტერატურულ-შემოქმედებითი დონის შემდგომ ამაღლებას.

8. ლიტერატურულ ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეთა წახალისების მიზნით:

8. 1. ეთხოვოს საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს (ამხ. ვ. ლორთქიფანიძე) დააწესოს ოთხი პრიზი რესპუბლიკის ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლების იმ მოსწავლეებისათვის,

რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ოლიმპიადის დასკვნით ტურში;

8. 2. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე), ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. რ. ძერია) დააწესონ სამი პრიზი VIII,IX,X კლასების იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს ოლიმპიადის დასკვნით ტურში, მათვე პერიოდულად გამოაქვეყნონ ინფორმაციები ოლიმპიადის სასკოლო, სარაიონო (საქალაქო), ზონალური და დასკვნითი ტურების მიმდინარეობის შესახებ.

9. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი), ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს გამოუყოს ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო ქაღალდი.

10. სკოლების სამმართველომ (ამხ. თ. ტატიშვილი) განახორციელოს კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
**მინისტრი ო. ქინქლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დებულება

## მოსწავლეთა ლიტერატურული ოლიმპიადისა

1. მოსწავლეთა ოლიმპიადას ლიტერატურაში ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ზ. ჭიჭინაძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე, ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტების, რესპუბლიკური მეთოდური ცენტრის მონაწილეობით, ოქტომბრიდან აპრილამდე (ჩათვლით).

2. ოლიმპიადის მიზანია გააფართოოს და გააღრმავოს სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლიურ ლიტერატურაში, გამოავლინოს ნაყოფიერი, ამ საგნის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეები, ხელი შეუწყოს მათს პროფესიულ ორიენტაციას, აამაღლოს მოსწავლეთა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების VIII,IX,X(X1) კლასების მოსწავლეებს.

4. ლიტერატურული ოლიმპიადა ტარდება ოთხ ტურად: პირველი — სასკოლო, მეორე — საქალაქო (რაიონული), მესამე — ზონალური, მეოთხე — რესპუბლიკური, შესაბამისად პირველი ტური ტარდება სკოლაში, მეორე — ქალაქში (რაიონში), მესამე — ზონის ცენტრში, მეოთხე — რესპუბლიკური — განათლების სამინისტროს მიერ შერჩეულ რომელიმე ქალაქში.

5. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:

ა) სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი;

ბ) საქალაქო (რაიონული) კომიტეტი, რომლის შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს ქალაქის (რაიონის) სახალხო განათლების განყოფილების გამგე;

გ) ზონალური საორგანიზაციო კომიტეტი — ზონის ცენტრად გამოყოფილი ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა წარდგინებით; მასში შედიან სპეციალისტები ზონის ცენტრიდან და შესაბამისი ქალაქებიდან (რაიონებიდან), ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილების გამგე;

დ) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

6 ოლიმპიადის ჩამტარებელი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ქმნის ჟიურის, რომელიც ადგენს საოლიმპიადო საწერ თემებს,

ასწორებს მოსწავლეთა ნამუშევრებს, არჩევს გამარჯვებულებს სიგე-ლებით დასაჯილდოებლად, აგრეთვე საუკეთესო თხზულებებს — გამოსაქვეყნებლად.

7. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა იყოფა 30 ზონად, ზონების ცენტრებად მიჩნეულია:

7. 1. ქ. თბილისი — ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 2. ქ. თბილისი — რკინიგზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 3. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 4. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 5. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 6. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოსა და მაიაკოვსკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 7. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 8. ქ. გორი — ქ. გორის, გორის, ქარელის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 9. ქ. ფოთი — ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 10. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ზუგდიდის, ხობისა და წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 11. ქ. ჭიათურა — ქ. ჭიათურისა და საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 12. ქ. სამტრედია — სამტრედიის, ვანისა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 13. ქ. ზესტაფონი — ზესტაფონის, თერჯოლისა და ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 14. ქ. ცხაკაია — ცხაკაიას, აბაშის, ჩხოროწყუსა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 15. ქ. მცხეთა — მცხეთის, კასპისა და დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 16. ქ. ახალციხე — ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 17. ქ. ახალქალაქი — ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 18. ქ. ბოლნისი — ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 19. ქ. თეთრი წყარო — თეთრი წყაროს რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

7. 20. წალკა — წალკის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის;
7. 21. თელავი — თელავის, ახმეტისა და ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 22. გურჯაანი—გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროსა და ლაგოდეხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 23. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 24. ამბროლაური — ამბროლაურის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 25. მესტია — მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 26. ცაგერი — ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 27. ლენტეხი — ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 28. თიანეთი — თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 29. ყაზბეგი — ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
7. 30. ონი — ონის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის

შენიშვნა: თეთრი წყაროს, წალკის, მესტიის, ცაგერის, ლენტეხის, ონის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებში ოლიმპიადა ჩატარდება ორ ეტაპად — სასკოლო და ზონალურ ტურებად, რის შემდეგ გამარჯვებული მოსწავლეები დაშვებული იქნებიან რესპუბლიკურ ტურში მონაწილეობისათვის, სასკოლო და საქალაქო (სარაიონო) ტურები ჩატარდება 1984 წლის დეკემბერში, ზონალური — 1985 წლის 27 იანვარს და რესპუბლიკური — 30-31 მარტს, მოსწავლეებს სასკოლო ტურში მონაწილეობისათვის შეარჩევენ საგნის მასწავლებლები.

8. ზონალური ტურის კანდიდატებს საქალაქო (რაიონული) ტურში გამარჯვებულთაგან შეარჩევენ შესაბამისი საქალაქო (სარაიონო) საორგანიზაციო კომიტეტები და მათ სიებს, შემოწმებულს განათლების განყოფილების მიერ, 10 იანვრამდე უგზავნიან ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

ზონის საორგანიზაციო კომიტეტი ასწორებს ზონალურ ტურზე შესრულებულ ნამუშევრებს, რესპუბლიკურ ტურზე დასაშვებ მოსწავლეთა სიებს და თხზულებებს, არაუგვიანეს 5 დღისა, უდგენს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, რომელიც თავის მხრივ გადაამოწმებს წარმოდგენილ ნაშრომებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს მოიწვევს დასკვნით ტურში მონაწილეობის მისაღებად.

10. ლიტერატურული ოლიმპიადის მონაწილენი წერენ თხზულებას, მათ ეძლევათ 5 (ხუთი) თავისუფალი თემა, რომლიდანაც ირჩევენ ერთ-ერთს.

11. სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 5 ასტრონომიული საათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამსვლელი ქულებია 8,9,10.

პირველი ხარისხის სიგელით დაჯილდოვდებიან დასკვნითი ტურის მონაწილენი, რომლებიც დააგროვებენ 10 ქულას (5)(5), მეორე ხარისხის სიგელით — 9 ქულას (5)(4) და მესამე ხარისხის სიგელით 9 ან 8 ქულას (4)(5), (4)(4).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ წერითი ნამუშევრის შეფასებისას ერთ-ერთი მხარე იმსახურებს 4-ზე დაბალ ნიშანს, მოსწავლე გამარჯვებულად არ ჩაითვლება.

12. სასკოლო ტურისათვის თემებს ადგენენ სახალხო განათლების საქალაქო (რაიონული) განყოფილებები, ზონალური და რესპუბლიკური ტურისათვის — რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი. საორგანიზაციო კომიტეტები თემებს, დალუქული პაკეტით იღებენ სპეციალური ფოსტით ან ამ მიზნით საგანგებოდ შერჩეული პირის საშუალებით.

ზონალური ტურის დღეს დალუქულ პაკეტს, ოლიმპიადის მონაწილეთა თანდასწრებით, ხსნის ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

ოლიმპიადაზე წერითი სამუშაოები სრულდება წინასწარ მომზადებულ და შტამპდასმულ ქაღალდზე, რომელსაც ამზადებენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები.

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის ჟიური, წინადადებებს ოლიმპიადის დასკვნით ტურში გამარჯვებული მოსწავლეების სიგელებით დაჯილდოების, აგრეთვე მოსწავლეთა საუკეთესო თხზულებებს, მათი გამოქვეყნების მიზნით, წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას.

**სკოლების სამმართველო**

Г-5269



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ
# КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**Об итогах У Республиканской олимпиады учащихся нерусских школ по русскому языку и литературе и мерах по проведению VI Республиканской олимпиады**

**5 июля 1984 года**

Заслушав сообщение об итогах У Республиканской олимпиады учащихся нерусских школ по русскому языку и литературе, коллегия отмечает, что в 1984 году олимпиада проведена, в основном, организованно.

Министерства просвещения Абхазской и Аджарской АССР, отделы народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, Управление народного образования Тбилгорисполкома, общеобразовательные школы проделали определенную работу по проведению школьных, районных, зональных туров олимпиады.

Участие в олимпиаде повышает интерес учащихся национальных школ к русскому языку и литературе, служит средством профессиональной ориентации, помогает им овладеть русской речью в ее устной и письменной форме. Число желающих принять участие в олимпиаде растет с каждым годом: если в 1981 г. в заключительном туре олимпиады приняло участие 170 учащихся, в 1982 г. — 284 в 1983 г. —355, то в 1984 г. — 435 школьников соревновались в мастерстве выразительного чтения и грамотного письма.

Проведению олимпиады предшествовали широкая разъяснительная и подготовительная работа школ, отделов народного образования, зональных и республиканских оргкомитетов.

Значительная работа по проведению олимпиады проделана в городах: Тбилиси, Сухуми, Батуми, Кобулети, Рустави, Поти, Кутаиси, Чиатура, Телави, а также в Махарадзевском, Местийском, Мцхетском, Шуахевском, Цхакаевском, Цителцкаройском, Очамчирском, Хелвачаурском, Ахалкалакском, Богдановском, Болнисском районах. Из 435 школьников десятиклассников участвовало 169, девятиклассников 126, восьмиклассников — 140.

Победителями V Республиканской олимпиады стали 223 школьника, в том числе 97 юношей — (43,5%). Представлены к награждению грамотами I степени 70, II степени — 65, Ш степени — 88 учащихся.

Работы участников олимпиады и устные ответы свидетельствуют об улучшении знаний теоретических основ предмета и практических навыков по русскому языку, а также о возросшем интересе к олимпиаде самих школьников. По сравнению с I олимпиадой, проведенной в 1981 году, число ребят, принявших участие в заключительном туре олимпиады, возросло более чем в 2,5 раза (435 против 170).

Анализ письменных работ, выполненных участниками заключительного тура олимпиады, показал, что определенная часть учителей русского языка должное внимание уделяет развитию навыков устной и письменной речи школьников, их орфографической и пунктуационной грамотности.

Отличных показателей добились учащиеся тбилисских средних школ №№ 1, 18, 42, 53, 51, 55, 57, 62, 67, 77, 93, 95, 102, 110, 117, 130, 140, 155, батумских средних школ №№ 1, 2, 4, 6, 22, сухумских средних школ №№ 1, 5, 6, 9, 11, 16, 19, руставских средних школ №№ 10, 17, 18, потийских средних школ №№ 2, 5, кутаисских средних школ №№ 1, 3, 7 зугдидских средних школ №№ 4, 8, телавских средних школ №№ 1, 3, 4, цхакаевских средних школ №№ 2, 3, 5, Чиатурской средней школы № 3, Казретской средней школы Болнисского района, Мукузанской средней школы Гурджаанского района, Рохской средней школы Маяковского района, Кведа Квирикской средней школы Кобулетского района, Цацхвской средней школы Зугдидского района, Тхинской средней школы Очамчирского района, Дзеверской средней школы Горийского района, Мухурской средней школы Чхороцкуского района и др.

Однако уровень практических навыков и умений все еще отстает от теоретических знаний учащихся. В отдельных районах (Каспский, Сачхерский, Самтредский, Тианетский, Хашурский, Цулукидзевский) не уделяется должное внимание развитию прочных навыков письменной речи школьников. Многие участники из названных районов, хорошо владея устной речью, получили низкие оценки по письменному конкурсу.

Не приняли участия в олимпиаде школьники Абашского, Амбролаурского, Ахметского, Гурджаанского, Дманисского, Душетского, Лентехского, Тетрицкаройского, Онского, Цагерского, Карельского, Каспского, Хобского, Сигнахского, Цаленджихского и др. районов, что свидетельствует о слабой работе в этом направлении общеобразовательных школ и отделов народного образования названных районов.

Коллегия Р е ш а е т:

1. За успехи, достигнутые в V Республиканской олимпиаде учащихся грузинских и других национальных школ по русскому языку и литературе, наградить 223 участника, из них грамотой I степени—70, грамотой II степени — 65, грамотой III степени—88 школьников.

2. Объявить благодарность директору средней школы № 51 г. Тбилиси тов. Зарандиа Лали Михайловне за активное участие в организации и проведении заключительного тура олимпиады.

3. VI Республиканскую олимпиаду учащихся по русскому языку и литературе провести в г. Тбилиси, согласно Положению об олимпиаде в четыре тура: школьный, районный (городской), зональный и республиканский. Определить следующие сроки их проведения: школьный — в декабре 1984 года, районный (городской) — в январе 1985 года, зональный — 24 февраля 1985 года, республиканский — 7 апреля 1985 года.

4. Для руководства VI Республиканской олимпиадой утвердить организационный комитет в следующем составе:

1. Мачарашвили К. Ш. — профессор, доктор педагогических наук, заместитель директора НИИ ПН им. Я. Гогебашвили (председатель)
2. Гиоргобиани Н. С. — инспектор Минпроса ГССР (заместитель)
3. Гелашвили Н. В. — старший научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогебашвили, кандидат филологических наук
4. Микаэлян Г. Г. — доцент Кафедры методики русского языка и литературы ЦИУУ, кандидат педагогических наук
5. Немсадзе А. А. — старший научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогебашвили, кандидат педагогических наук
6. Хоштария Г. Е. — заведующая Учебно-методическим кабинетом русского языка в национальной школе ЦИУУ
7. Гелеква Н. Н. — заведующая Учебно-методическим кабинетом русского языка Тбилисского городского ИУУ

8. Бачиашвили Л. Д. — методист Отдела русского языка и литературы Республиканского учебно-методического кабинета Управления школ
9. Шелеметьева В. А. — инспектор Минпроса ГССР
10. Бежанова И. А. — учитель-методист русского языка и литературы средней школы № 55 г. Тбилиси, заслуженный учитель Грузинской ССР
11. Урдиа М. В. — методист Дорожного методкабинета Отдела учебных заведений Закавказской железной дороги
12. Ростиашвили Т. Г. — учительница русского языка и литературы средней школы № 124 г. Тбилиси
13. Дарсавелидзе А. С. — старший научный сотрудник НИИ ПН им. Я. Гогебашвили

5. Поручить Республиканскому организационному комитету обеспечить руководство подготовкой и проведением олимпиады, периодически проверять организационные вопросы. Своевременно и оперативно провести подготовительную работу, разослать на места данное решение.

6. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальнику Управления народного образования Тбилгорисполкома:

— обеспечить обсуждение данного решения коллегии «Об итогах V Республиканской олимпиады учащихся нерусских школ по русскому языку и литературе и мерах по проведению VI Республиканской олимпиады» на августовских секционных совещаниях учителей данного предмета и Советах роно;

— устранить недостатки, отмеченные в настоящем решении, принять дополнительные меры с целью дальнейшего совершенствования работы школ по повышению качества знаний учащихся по русскому языку и литературе;

— принять меры к широкому вовлечению в олимпиаду заинтересованных этим предметом школьников, поощрять участие в олимпиаде учащихся юношей, а также усилить профориентационную работу с целью пополнения учительских кадров данного профиля;

— своевременно создать на местах организационные комитеты по проведению школьного, районного (городского) и зонального туров олимпиады и оказывать им действенную помощь для успешной реализации стоящих перед ними задач;

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— провести соответствующую подготовительную работу по обеспечению участия лучших школьников во Всесоюзной олимпиаде по русскому языку для учащихся общеобразовательных школ с нерусским языком обучения.

7. Главному управлению снабжения (тов. К. Дзлиеришвили) выделить Республиканскому учебно-методическому кабинету Управления школ писчую бумагу в необходимом количестве для проведения VI Республиканской олимпиады по русскому языку и литературе.

8. Планово-финансовому управлению (тов. О. Кереселидзе) в бюджете Республиканского учебно-методического кабинета предусмотреть соответствующие расходы в связи с проведением олимпиады.

9. Контроль за выполнением данного решения возложить на Управление школ (тов. Т. Татишвили).

**Председатель коллегии**
**Министр О. Д. Кинкладзе**

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის შესახებ“ შუქზე რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების ამოცანების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის შესახებ“, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ადამიანების მობილიზებაში მომავალი იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის.

1985 წლის 9 მაისს სრულდება საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გმირული გამარჯვების 40 წელი. ამ გამარჯვებამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუტანა არა მარტო საბჭოთა ადამიანებს, არამედ დასავლეთ ევროპის ხალხებს, თავიდან ააშორა მათ ფაშისტური მონობის მუქარა.

ღირსშესანიშნავი იუბილეს შესახვედრად სახალხო განათლების ორგანოებმა, სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიურმა კოლექტივებმა დიდი და მრავალმხრივი მუშაობა გაშალეს იმისათვის, რომ მოსწავლეები აზიარონ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მხედრულ თავდადებას, საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომით გმირობას; აღზარდონ მათში სამშობლოს ღრმა სიყვარული და ერთგულება, მზადყოფნა მის დასაცავად. ისინი შესაბამისი სასწავლო დისციპლინების გაკვეთილებსა და კლასგარეშე ღონისძიებებს იყენებენ მოსწავლეებში პატრიოტიზმის, კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების აღსაზრდელად, მათში აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ჩამოსაყალიბებლად, იმ მისწრაფების გამოსამუშავებლად, რომ მხარი დაუჭირონ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას.

რესპუბლიკის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საკავშირო საძიებო ექსპედიციაში — „დიდი სამამულო ომის მატიანე“, — საბრძოლო დიდების მუზეუმებისა და გალერეების შექმნაში, ომში დაღუპულთა ობელისკების აღმართვასა და მოვლაში, შეფობას უწევენ დიდი სამამულო ომის ინვალიდებს.

რესპუბლიკაში იზრდება „წითელკვალმაძიებელთა“ რაზმების, საბჭოთა არმიის, მესაზღვრეთა, მეზღვაურთა ნორჩი მეგობრების რიცხვი.

სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკაში სულ უფრო მეტად მკვიდრდება მამაცობის გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეთილები, ეწყობა შეხვედრები ომის ვეტერანებთან, იმართება დისპუტები, კონფერენციები, დათვალიერებები, კონკურსები სამხედრო-პატრიოტულ თემაზე.

ფართოვდება მოსწავლეთა მონაწილეობა სამხედრო-სპორტულ თამაშობებში „ცისკარი“ და „მართვე“, იზრდება მათი იდეურ-ზნეობრივი პოტენციალი.

სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა შორის საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკის პროპაგანდას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძოლას განიარაღებისათვის, მოზარდთა მიზიდვას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, ანტისაომარ მიტინგებსა და მანიფესტაციებში, მათს მონაწილეობას ხელმოწერების შეგროვებაში პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებრივ მოღვაწეთა დასაცავად, მშვიდობის საბჭოთა ფონდში ფულადი სახსრების გადარიცხვას. მოსწავლეთა სულ უფრო მეტი რიცხვი ერთიანდება პოლიტიკურ კლუბებში, წრეებში, ლექტორთა ჯგუფებში, აგიტბრიგადებში, რომლებიც სკოლებში საცხოვრებელ ადგილებში, პიონერულ, შრომისა და დასვენების ბანაკებში დიდ სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება განათლების მუშაკებს ავალებს მომავალ იუბილესთან დაკავშირებით გააძლიერონ იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლეებს შორის; გააცნონ მათ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების საყოველთაო ისტორიული მნიშვნელობა; პროპაგანდა გაუწიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ საქმიანობას განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა ხალხის იდეური და ინტერნაციონალური ერთიანობისათვის, პარტიის ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

აუცილებელია მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება საბჭოთა საზოგადოებრივი წყობის, ცხოვრების სოციალისტური წესის უპირატესობის პროპაგანდაზე იმპერიალიზმის რეაქციული არსის აშშ-ის და მისი სამხედრო მოკავშირეების მილიტარისტული გეგმების გამოაშკარავებაზე.

ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია ყოველმხრივ ამაღლდეს სასწავლო საგნების მსოფლმხედველობრივი პოტენციალი, უფრო აქტიურად იქნას გამოყენებული სასწავლო საგნებს შორის კავშირების შესაძლებლობანი. დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი საპროგრამო ნაწარმოებების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ნათლად გამოიკვეთოს ნაწარმოების აქტუალური ჟღერადობა დროის შესაბამისად.

კლასგარეშე, სკოლისგარეშე მუშაობის სისტემაში ქმედითად უნდა იქნას გამოყენებული მოსწავლეთა კლუბების, წრეების მუშაობა, პროფილური გაერთიანებების შესაძლებლობები. მიზანშეწონილია ამაღლდეს სასკოლო ბიბლიოთეკების როლი საბჭოთა ლიტერატურის პროპაგანდაში, მკითხველთა კონფერენციების, დისპუტების, თემატური საღამოების, კალმის ოსტატებთან შეხვედრების ორგანიზაციაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა პოლიტიკური განათლების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მის წარმართვას მომხდარი მოვლენების კლასობრივი პრინციპებიდან შეფასების უნარის გამოსამუშავებლად, მოსწავლეებში პატრიოტული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობის განვითარებისათვის ხელის შესაწყობად.

9. 2. ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში შექმნან შესაბამისი საყოფაცხოვრებო და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები 6 წლიან ბავშვთა სწავლებისა და აღზრდისათვის ; შეისწავლონ და მომარაგების მთავარ სამმართველოს წარუდგინონ მოთხოვნა ინტერნატული დაწესებულებების შესაბამისი ინვენტარით, პირადი მოხმარების ნივთებით და დგამ-ავეჯით უზრუნველყოფის შესახებ.

10. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გაითვალისწინოს ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ინტერნატული დაწესებულებების ბიუჯეტებში ინტერნატული დაწესებულებების 1-ლი კლასების და სკოლამდელი განყოფილებების შესანახი ხარჯები.

11. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) დროულად უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური სკოლა-ინტერნატები 1-ლი კლასის პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, მეთოდიკური ლიტერატურითა და თვალსაჩინოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები შესაფერისი ინვენტარ-მოწყობილობებით, მაგარი და რბილი ინვენტარით, პირადი მოხმარების ნივთებით.

13. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ჰ. თუთბერიძე) ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (ამხ. შ. ამონაშვილი) ერთად ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის ძირითად მიმართულებათა საფუძველზე შეიმუშაოს მეთოდიკური რეკომენდაციები სპეციალური სკოლა-ინტერნატების ყველა ტიპის კლასში მომუშავე მასწავლებლებისა და აღმზრდელებისათვის.

14. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს (ამხ. ჰ. თუთბერიძე).

**მინისტრი ო. ქინქლაძე**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 19 ივლისის დადგენილება

**რესპუბლიკაში 1984 წელს ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგებისა და 1984—1985 წელს მასწავლებელთა ატესტაციის ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა შ ე ს ა ხ ე ბ**

კოლეგია და პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ სახალხო განათლების ორგანოების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის მაღალ დონეზე წარმართვისათვის. სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს დროულად დაეგზავნათ საკავშირო და რესპუბლიკის განათლების სამინისტროების სახელმძღვანელო დოკუმენტები, საატესტაციო მასალები და ა. შ.

ატესტაციის გაზრდილი მოთხოვნების დონეზე წარმართვის მიზნით სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობით ცხაკაიას რაიონში ჩატარდა ზონალური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ: ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის, აბაშის, ჩხოროწყუს, ხობის, მესტიის, ზუგდიდის რაიონების განათლების განყოფილებების მუშაკები, სკოლის დირექტორები, პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირ-სემინარები ჩატარდა ქ. ჭიათურაში: ამბროლაურის, ზესტაფონის, თერჯოლის, ლენტეხის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ცაგერისა და სხვა რაიონებში. ადგილებზე საატესტაციო მასალების შედგენა-განხილვაში, განათლების განყოფილებათა მუშა ჯგუფების სხდომების მუშაობაში რეგულარულად მონაწილეობდნენ საატესტაციო კომისიის წევრები, ქალაქებისა და რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები.

ატესტაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები განხილულ იქნა სამინისტროების კოლეგიებზე, ადგილობრივი ორგანოების სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე. პრაქტიკაში დაინერგა საატესტაციო კომისიების გამსვლელი სხდომების ჩატარება რაიონებში, სკოლებში. ასე მაგალითად: ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საატესტაციო კომისიის გამსვლელი სხდომები ჩატარდა თბილისის 124-ე და 67-ე საშუალო სკოლებში, სადაც, დასახელებული სკოლების გარდა, სხვა სკოლების მასწავლებელთა საატესტაციო მასალების განხილვაც მოხდა.

კოლეგიამ მოისმინა აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ა. როგაჩოვას ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, რამაც გარკვეული ინტერესი გამოიწვია და მომავალში მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს ატესტაციის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, განსაკუთრებით აფხაზეთის ასსრ-ში.

საატესტაციო მუშაობის ახლებურად წარმართვამ ხელი შეუწყო პედაგოგიური კადრების შერჩევის, განათლებისა და აღზრდის სრულყოფას, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, მასწავლებელთა კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას.

1984 წელს ატესტაცია უნდა გაევლო 16057 მასწავლებელს. მათგან საატესტაციო დებულების შესაბამისად ატესტაციაში ჩაბმული არ იქნა 4638 მასწავლებელი. მათ შორის: ახალგაზრდა სპეციალისტი 3 წლამდე მუშაობის სტაჟით 1547; მასწავლებლები, რომლებიც მოცემულ სკოლაში ერთ წელზე ნაკლებ დროს მუშაობდნენ—679; ორსული ქალები — 398; ქალები, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ — 527. მასწავლებლები, რომლებიც ხანგრძლივ მკურნალობაზე იმყოფებიან — 122; მასწავლებლები, სადაც დირექტორები პირველ წელს მუშაობენ — 1252; მასწავლებელი-პენსიონერები, სამუშაოდ დროებით მოწვეულნი — 133; ატესტაცია გაიარა 11304 მასწავლებელმა, რაც რესპუბლიკის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 16,8 პროცენტს შეადგენს.

ატესტაციის შედეგებით:

ა) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას და მიენიჭათ წოდებები: „მასწავლებელ მეთოდისტის"—188, „უფროსი მასწავლებლის"—417;

ბ) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას სხვა წახალისებით—3141; მათ შორის: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული" — 851; საქართველოს სსრ განთლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის სიგელით—967; სხვა ჯილდოებით—1323;

გ) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას — 6938;

დ) შეეფერება დაკავებულ თანამდებობას რეკომენდაციის შესრულების პირობით—515, მათ შორის: მეცნიერულ-თეორიული ცოდნის ამაღლებაზე — 142; სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების დაუფლებაზე — 296; თვალსაჩინო მასალებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე — 77; უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებაზე — 21; ერთწლიანი დასწრებულ-დაუსწრებელი კურსების გავლით კვალიფიკაციის ამაღლებაზე — 60;

თვითგანათლების ამაღლებაზე — 12; სხვადასხვა — 7;

ე) არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას — 6;

ვ) ატესტაციის გავლაზე უარი თქვა და პირადი განცხადებით გათავისუფლდა მასწავლებლობიდან — 116.

ასეთი რაოდენობით სამუშაოდან გათავისუფლება სკოლების ხელმძღვანელთა და სახალხო განათლების ორგანოების მხრივ მასწავლებლებისადმი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის გაზრდის შედეგია. გათავისუფლებულთაგან ქ. თბილისიდან არის 12, აფხაზეთიდან — 1, აჭარიდან — 6, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან — 11. ზესტაფონის რაიონიდან — 21, ჩხოროწყუს რაიონიდან — 14, გურჯაანის რაიონიდან — 8, ამბროლაურის რაიონიდან — 4, აბაშის რაიონიდან — 4, ადიგენის რაიონიდან — 3, გორიდან—2, ზუგდიდიდან—1, ყვარლის რაიონიდან—4, ლაგოდეხის რაიონიდან—3, მესტიის რაიონიდან — 2, მცხეთის რაიონიდან — 2, ორჯონიკიძის რაიონიდან — 3, თელავის რაიონიდან — 2, ხობის რაიონიდან — 3, ცაგერის რაიონიდან — 2 და ა. შ.;

ზ) სკოლის დასკვნებს მუშა ჯგუფები არ დაეთანხმნენ 215, ხოლო მუშა ჯგუფების დასკვნებს საატესტაციო კომისიები 122 შემთხვევაში. მაგალითად; ახალციხის მე-4 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს თ. ვოიკინს სკოლის წინადადებით აძლევდნენ რეკომენდაციას თვალსაჩინოების მიზნობრივად გამოყენებისა და მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასებაზე, მუშა ჯგუფი არ დაეთანხმა სკოლის დასკვნას და თ. ვოიკინს მისცა შეფასება შეეფერება დაკავებულ თანამდებობას. საატესტაციო კომისიის სხდომაზე ახალციხის რაიონიდან წარმოდგენილი მასალების განხილვისას გამომჟღავნდა, რომ სკოლის დირექცია არასწორ დამოკიდებულებას იჩენდა მასწავლებლის მიმართ. საატესტაციო კომისიამ მხარი დაუჭირა მუშა ჯგუფის დასკვნას და თ. ვოიკინი დაკავებული თანამდებობისათვის შესაფერისად ცნო.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახვილაურის რვაწლიანი სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი მ. ბეჟანიძე სკოლის დასკვნით წასახალისებლად იყო წარმოდგენილი. მუშა ჯგუფმა გაითვალისწინა განათლების განყოფილების ინსპექტორების შედეგები და არ დაეთანხმა სკოლის დასკვნას მასწავლებლის წახალისების შესახებ.

გასულ წლებთან შედარებით მიმდინარე წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოწინავე მასწავლებელთა გამოვლენას და მათთვის „მასწავლებელ-მეთოდისტისა“ და „უფროსი მასწავლებლის“ წოდებათა მინიჭებას. რესპუბლიკის მასშტაბით სრულად იქნა გამოყენებული წოდებათა მინიჭების შესაძლებლობა, მაგრამ აფხაზეთის ასსრ-ში, ქალაქებში: გორში, ზუგდიდში, საჩხერის, ხობის, ზუგდიდისა და ზოგიერთ

სხვა რაიონში არასრულად ისარგებლეს ამ შესაძლებლობებით. ასე მაგალითად: აფხაზეთის ასსრ-ში ატესტაციაგავლილი 1054 მასწავლებლიდან" „მასწავლებელ მეთოდისტის" წოდება მიენიჭა 13-ს, ხოლო, „უფროსი მასწავლებლისა" — 26-ს, მაშინ, როცა შეიძლებოდა აღნიშნული შესაბამისად 17-ს და 35-ს მინიჭებოდა; ზუგდიდის რაიონიდან „მასწავლებელ-მეთოდისტის", ხოლო ქალაქ გორიდან „მასწავლებელ-მეთოდისტისა" და „უფროსი მასწავლებლის" წოდებათა მისანიჭებლად არც ერთი პედაგოგი არ წარმოუდგენიათ. საატესტაციო კომისია არ დაეთანხმა ქ. გორის განათლების განყოფილების მუშა ჯგუფის დასკვნას და სამ მოწინავე პედაგოგს „უფროსი მასწავლებლის" წოდება მიანიჭა.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასკოლო განყოფილებიდან წარმოდგენილი მასალების განხილვისას ყურადღება გამახვილდა სადგურ თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელ ნ. ჯიბლაძის საატესტაციო დახასიათებაზე. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კომისია არ დაეთანხმა მუშა ჯგუფის დასკვნას და ნ. ჯიბლაძე „მასწავლებელ-მეთოდისტის" წოდების ღირსად ცნო.

მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ქ. ქუთაისის ლენინის რაიონში, ქ. გორში, ზესტაფონის, აბაშისა და ხობის რაიონებში.

მასწავლებელთა ატესტაციასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროში შემოვიდა მხოლოდ 2 განცხადება-საჩივარი. ერთი მათგანი ეკუთვნის ქუთაისის 24-ე საშუალო სკოლის ყოფილ მასწავლებელს თ. ჯინჭველაშვილს. იგი ითხოვდა მასწავლებლის უფლებებში აღდგენას. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საატესტაციო კომისიამ თავის ა. წ. 11 მაისის სხდომაზე თ. ჯინჭველაშვილი დაკავებული თანამდებობისათვის შეუფერებლად ცნო. კომისიის სხდომის მსვლელობისას გამომჟღავნდა, რომ თ. ჯინჭველაშვილს გარდა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გამოვლენილი დიდი ნაკლოვანებებისა, ხანდაზმულობის გამო დაქვეითებული აქვს სმენა; კომისიის წევრთა მიერ საკმაოდ ხმამაღლა დასმულ კითხვებზე სულ სხვა პასუხებს იძლეოდა; ამასთან, იგი ზედმეტად ნერვიულია, აფექტში ვარდება და მორიდების გარეშე შეუფერებელი სიტყვებით მიმართავს ყველას. ასეთ მდგომარეობაში მყოფი მასწავლებლის სამუშაოზე დატოვება აშკარად გაუმართლებელია. განათლების სამინისტრომ საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება სწორად მიიჩნია და განმცხადებლის თხოვნა არ დააკმაყოფილა.

ატესტაციის ორგანიზებულად წარმართვისათვის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებები და მათი მეთოდური კაბინეტები ეყრდნობოდნენ გასული წლების გამოცდილებას, ატესტაცია ოგანიზებულად წარმართეს და, ძირითადად, დამაკმაყოფილებლად შე-

დგენილ-გაფორმებული საატესტაციო მასალები წარმოადგინეს ქ. ფოთის, ქ. წყალტუბოს ზონის; მახარაძის, ცაგერის, ლენტეხის, ზესტაფონის, ყვარლისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა.

მიუხედავად მრავალგზის გატარებული ღონისძიებებისა, მაინც გვხვდება მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათებების არასრულყოფილად შედგენის შემთხვევები. ასე მაგალითად: წითელწყაროს რაიონის დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებლების ი. დათუკიშვილის, ნ. ავაქოვასა და ნ. მახაშვილის საატესტაციო დახასიათებები შედგენილია სუსტად, ზერელედ; მათში ასახული არ არის მასწავლებლის მიერ გაწეული ღვაწლი და მოპოვებული შედეგები. ამასთან, დასახელებული მასწავლებლების დახასიათებების (ფურცლის) თითო ეგზემპლარი სუფთად არის დაწერილი, ხოლო მეორე ნაჩხაპნია. პირველს დირექტორის ხელმოწერა აქვს, მეორეზე კი სხვა პირის ხელმოწერაა.

ცუდად, არასრულყოფილად არის შედგენილი ქ. რუსთავის მე-2; მე-15, მე-19, კასპის რაიონის სოფლების დოესის, ზემო ხანდაკის, ხოვლეს, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორითის, თერჯოლის რაიონის სოფელ სათემოს, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვედა ჩხოროწყუს საშუალო და რვაწლიანი სკოლების მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათებები. რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს შეუსაბამობას დახასიათებებსა და დასკვნებს შორის. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის, საჩხერის რაიონის სოფლების დუნთის, დურევის, ლოდორის დაწყებითი სკოლების ზოგიერთი მასწავლებლის ატესტაციისას.

გარდა ამისა, ატესტაციამ გამოავლინა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან ნაცვლად საშუალოდ მიღებული 20 პროცენტისა, ატესტაციაში გატარდა მხოლოდ 16 პროცენტი. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია მასწავლებელთა ხშირი დენადობა. ასე მაგალითად: ატესტაციის პირველი ციკლის დროს აბაშის რაიონიდან ატესტაციაში გატარდა 432 მასწავლებელი, მიმდინარე წელს (მეორე ციკლით) კი 280, მსგავსი მდგომარეობაა ამბროლაურის რაიონში 1978 წელს 291,1984 წელს 189, ზესტაფონში შესაბამისად 707-507, თერჯოლაში—523-404, ცხაკაიაში—478-357, ცაგერში — 325-230, ონში — 177-84 და ა. შ.

მიმდინარე წელს ახალქალაქის რაიონში ატესტაციაში გატარდა მხოლოდ 5 მასწავლებელი, მაშინ როდესაც უმაღლესი სასწავლებლების 1980 წლის კურსდამთავრებულთაგან განათლების სამინისტროს მიერ რაიონის სკოლებში სამუშაოდ 15 სპეციალისტი განაწილდა.

აღნიშნული, ძირითადად, გამოწვეულია სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა მხრიდან სკოლებისა-

დმი არასაკმარისი კონტროლისა და დახმარების გამო, ხელმძღვანელთა და პედაგოგიური კადრების დიდი დენადობით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებელთა აღრიცხვის მოუწესრიგებლობისა და ატესტაციას დაქვემდებარებულთა სიების დაუზუსტებლობით.

ატესტაციის მსვლელობისას ადგილი ჰქონდა საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის შემთხვევას. საატესტაციო კომისიის სხდომა მესტიის რაიონის მასწავლებელთა ატესტაციის შედეგების განხილვის საკითხზე ორჯერ გადაიდო განათლების განყოფილების წარმომადგენელთა გამოუცხადებლობის გამო. განათლების განყოფილების მუშაკები „თავაზიანობას" იჩენდნენ და განყოფილების გამგის ა. ჩხვიმიანის ხელმოწერით დეპეშებს აგზავნიდნენ სამინისტროში — ამა თუ იმ მიზეზით სხდომას ვერ ვესწრებითო. ამხ. ჩხვიმიანი კი სინამდვილეში თბილისის საავადმყოფოში იმყოფებოდა და მძიმე მდგომარეობაში მყოფს არც სხდომაზე დასწრება შეეძლო და არც დეპეშის გამოგზავნა. ასეთ შეუფერებელ მოქმედებაში პასუხისმგებლობა განათლების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს ა. გვიჩიანს ეკისრება.

ატესტაციის შედეგად მასწავლებელთა დიდი ნაწილი დაკავებული თანამდებობისათვის შესაფერისად იქნა მიჩნეული, ბევრ მათგანს წოდება მიენიჭა, ზოგიც სხვადასხვა ჯილდოთი წახალისდა, მაგრამ გარკვეულ ნაწილს მიეცა რეკომენდაციები სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებებისათვის, უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლის გაგრძელებისათვის, მეცნიერულ-თეორიული ცოდნის დონის ამაღლებისათვის, სწავლების მეთოდებისა და ხერხების გაუმჯობესებისათვის, თვალსაჩინო მასალებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენებისათვის, მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ხარისხიანი გასწორებისათვის, მოსწავლეთა ცოდნის ობიექტური შეფასებისათვის და ა. შ.

დებულების შესაბამისად ნაკლოვანებებით მომუშავე ასეთი მასწავლებლები დაკავებული თანამდებობისათვის შესაფერისად იქნენ მიჩნეული რეკომენდაციების შესრულების პირობით.

სახალხო განათლების დაწესებულებები, ხელმძღვანელობენ რა განათლების ზემდგომი ორგანოების მითითებებით, რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებს საჭირო პირობებს უქმნიან მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების განსაზღვრულ ვადებში გამოსასწორებლად. ადგილებზე ეწყობა კურსები, მიზნობრივი და თემატური სემინარები, ტარდება სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ღია გაკვეთილები, კვალიფიკაციის ამაღლების სხვა ფორმები.

რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა მუშაობაზე დადებით გავლენას ახდენს ატესტაციის შედეგად წოდებამინიჭებულ მასწავლებელ-

თა ჩაბმა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში. „მასწავლებელ მეთოდისტები“ და „უფროსი მასწავლებლები“ საქმიან რჩევა-დარიგებას აძლევენ რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებს, ესწრებიან და თვითონაც ისწრებენ გაკვეთილებზე, აცნობენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და ხერხებს. თვალსაჩინო მასალებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების საფუძვლებს და ა. შ.

1983 წელს რეკომენდაციამიცემულ მასწავლებელთა დიდმა უმრავლესობამ შეასრულა რეკომენდაციები. ამასთან, შეუსრულებელი რჩება ზოგიერთი მასწავლებლისათვის უმაღლესი განათლების მისაღებად სწავლის გაგრძელებაზე მიცემული რეკომენდაციები. ეს პირველ რიგში ეხებათ მაღალმთიანი რაიონების მცირეკომპლექტიანი რვაწლიანი და საშუალო სკოლების უცხო ენების მასწავლებლებს. ზოგიერთ მათგანს დამთავრებული აქვს უმაღლეს სასწავლებელთან არსებული ორწლიანი ან ოთხწლიანი უცხო ენების შემსწავლელი კურსები, მაგრამ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას ველარ აგრძელებენ დაუსწრებელი განყოფილების არარსებობის გამო.

„ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ“ დადგენილების, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 16 მარტის № 12/1 გადაწყვეტილებისა და საქართველოს მასწავლებელთა მე-5 ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად განათლების სამინისტროს კოლეგიამ და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. 1984—1985 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაცია (მეორე ციკლი) ჩატარდეს: ქ. თბილისის საქარხნო რაიონში; ქ. თბილისის სპორტულ, მუსიკალურ, უსინათლო ბავშვთა, ყრუ ბავშვთა, სმენადაქვეითებულ ბავშვთა, მხედველობადაქვეითებულ ბავშვთა, კ. ლესელიძის სახელობის სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატებში; ქ. თბილისის რესპუბლიკურ დაუსწრებელ საშუალო სკოლაში; ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სკოლაში; აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონში; აჭარის ასსრ ხულოსა და შუახევის რაიონებში; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონში; ქალაქებში ტყიბულსა და მარნეულში; ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, გეგეჭკორის, დმანისის, დუშეთის, ვანის, თიანეთის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, მარნეულის, სამტრედიის, ქარელის, ყაზბეგის, ჩოხატაურის, წალკის, წულუკიძის, წალენჯიხის, ხაშურის რაიონებში; ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხაშუ-

რის მე-3, მე-4, მე-5, 25-ე, სამტრედიის მე-13, 24-ე, ოჩამჩირის რაიონის მე-15 საშუალო სკოლებში.

1. 1. გარდა აღნიშნულისა, ატესტაციაში გატარდნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, ყველა უწყების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ის მასწავლებლები, რომლებსაც გასულ წლებში სხვადასხვა მიზეზით ატესტაცია არ გაუვლიათ და დებულებით ატესტაციას ექვემდებარებიან.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა:

2. 1. ატესტაციის სრულყოფილად წარმართვისათვის გააძლიერონ მომთხოვნელობა, დახმარება და კონტროლი საატესტაციო კომისიების, მუშა ჯგუფებისა და სკოლების ხელმძღვანელებისადმი. მტკიცედ დაიცვან მასწავლებელთა ატესტაციის ჩატარების წესის შესახებ დებულებით და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ატესტაცია გახადონ პედაგოგიური კოლექტივების გაჯანსაღების, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის ამაღლების, მოწინავე მასწავლებლების წარმოჩენის და მათი მორალური და მატერიალური სტიმულირების, თითოეული მასწავლებლის იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ოსტატობის დონის გაუმჯობესების საშუალებად;

2. 2. არსებული გამოცდილების საფუძველზე ყველა ეტაპზე სრულყონ ატესტაციის მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა, განსაკუთრებით სკოლებში, გააძლიერონ სკოლების ხელმძღვანელთა მომზადება ატესტაციის ჩატარებისადმი. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ თითოეულ სკოლაში სათანადო პირობების შექმნას მასწავლებელთა შრომის ობიექტური შეფასებისათვის. აქტიურად ჩააბან საატესტაციო მუშაობაში სასკოლო ინსპექტორები, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებისა და რაიონული (საქალაქო) მეთოდური კაბინეტების მეთოდისტები;

2. 3. უზრუნველყონ მასწავლებელთა საატესტაციო დახასიათებების სრულყოფილი შედგენა. სავალდებულოდ იქნას მიჩნეული დახასიათებებში სრულად აისახოს მასწავლებლის, როგორც პედაგოგისა და აღმზრდელის საქმიანობა, მხედველობაში იქნას მიღებული კლასის მოსწავლეთა ზრდილობის დონე, მათი საზოგადოებრივი აქტივობა, შრომისადმი მომზადება, პროფესიის შეგნებული არჩევა, ე. ი. დახასიათებაში

ნათლად აისახოს მასწავლებლის მიერ გაწეული ღვაწლი და მოპოვებული შედეგები;

2. 4. აამაღლონ სკოლის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი. ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მათ ატესტაციის სრულყოფილად ჩატარების საქმეში;

2. 5. სისტემატურად განაზოგადონ საუკეთესო მასწავლებელთა გამოცდილება, რომელთა შრომა ატესტაციის შედეგების მიხედვით წახალისებით იქნა აღნიშნული. ჯეროვანი პროპაგანდა გაუწიონ და პრაქტიკაში დანერგონ მასწავლებელ-მათოდისტებისა და უფროსი მასწავლებლების მუშაობის მოწინავე გამოცდილება. წარმოაჩინონ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ღვაწლმოსილი მასწავლებლები და უფროსი მასწავლებლების მუშაობის მოწინავე გამოცდილება, გაბედულად წარმოადგინონ ისინი „მასწავლებელ-მეთოდისტის“, „უფროსი მასწავლებლის“ წოდებათა მისანიჭებლად, სხვა სახის ჯილდოებით წასახალისებლად.

სრულად გამოიყენონ მასწავლებელთათვის წოდების მინიჭების არსებული წესი;

2. 6. ფართოდ გამოიყენონ მასწავლებელთა ატესტაცია სკოლების სახალხო განათლების ორგანოებისა და მეთოდური დაწესებულებების ხელმძღვანელი კადრების შერჩევისა და განაწილების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ხელმძღვანელ თანამდებობებზე დაწინაურებისათვის შექმნან რეზერვი წოდებამინიჭებულ და საუკეთესო მასწავლებელთა რიცხვიდან;

2. 7. გააუმჯობესონ მეთოდური სამსახურების მუშაობა. მიაღწიონ იმას, რომ ისინი გადაიქცნენ მასწავლებელთა დახელოვნებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადების ცენტრად, რომლებსაც შეეძლებათ რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებს შეუქმნან საჭირო პირობები მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების განსაზღვრულ ვადებში გამოსწორებისათვის.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის ინსტიტუტებმა:

3. 1. მჭიდრო ურთიერთობა იქონიონ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან; აქტიური მონაწილეობა მიიღონ საატესტაციო მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების შესწავლას და მის განზოგადებას;

3. 2. ძირეულად გააუმჯობესონ ატესტაციის შედეგად რეკომენდაციამიცემულ მასწავლებლებთან მუშაობა. მიიღონ ზომები მათ მუშაობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების განსაზღვრულ ვადებში დაძლევისათვის.

4. აღინიშნოს ქ. ფოთის, წყალტუბოს ზონის, მახარაძის, ცაგერის, ლენტეხის, ზესტაფონის, ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებათა დადებითი მუშაობა ატესტაციის ორგანიზებულად ჩატარების საქმეში.

5. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და საატესტაციო საქმისადმი უყურადღებობისათვის მესტიის რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს ა. გვიჩიანს გამოეცხადოს საყვედური.

6. ატესტაციისადმი უყურადღებო დამოკიდებულებისათვის კასპის, საჩხერის, ჩხოროწყუს, ახალქალაქის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს გ. შაქარაშვილს, გ. აბუანდაძეს, ღ. გორდულაძეს, ა. გაბრიელიანს მიეცეთ შენიშვნა.

7. გაფრთხილებულ იქნან ქ. რუსთავის, ქ. ჭიათურის ზონის, გურჯაანის, კასპის, საჩხერის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეები, რათა შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ ნაკლოვანებებით შედგენილი საატესტაციო მასალების წარმომდგენი სკოლების ხელმძღვანელთა მიმართ.

8. აღინიშნოს აფხაზეთის ასსრ, ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის, ქალაქების გორის, ზუგდიდის; საჩხერის, ხობის, ლაგოდეხის, ზუგდიდის, დმანისის რაიონების სახალხო განათლების ორგანოების მიერ ატესტაციის შედეგად წოდებათა მინიჭების შესაძლებლობების გამოუყენებლობა.

9. კადრების სამმართველოში საატესტაციო მასალების წარმოდგენის ვადად დაწესდეს:

— ქალაქებისა და რაიონებისათვის, სადაც ატესტაციის მეორე ციკლი პირველად 1984—1985 სასწავლო წელს ტარდება, არა უგვიანეს 1985 წლის 1 აპრილისა;

— სხვა ქალაქებისა და რაიონებისათვის — 1985 წლის 1 მარტამდე.

10. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე), განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო მუშაობისა და ხელფასის განყოფილებამ (ამხ. ა. ქორქოლაძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა) საჭირო დახმარება და კონტროლი გაუწიონ სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ატესტაციის სრულყოფილად ჩატარების საქმეში.

**კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ო. ქინქლაძე**

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1984 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და ქუთაისში ჩატარებულ სკოლამდელ მუშაკთა თათბირ-სემინარის შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ**

აღვნიშნავ, რომ ქ. ქუთაისში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ყოველმხრივი განვითარებისა და მათი სკოლისათვის მოსამზადებლად, სკოლამდელი დაწესებულებები მუშაობას წარმართავენ ფიზიკური კულტურის ახალი ტიპობრივი პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად, სადაც განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ბავშვთა გაკაჟება-გაჯანსაღებას, მეცადინეობების. ფიზკულტურული წუთების, გამამხნევებელი ვარჯიშების, მოძრავი ხალხური თამაშების ჩატარებასა და მარტივი ტურიზმის დანერგვას, მოგვარებულია ბავშვთა დღის ძილი.

ქ. ქუთაისის სახალხო განათლების განყოფილებები, სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტი, სკოლამდელი დაწესებულებები მიზანმიმართულ, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

ქ. ქუთაისში 1984 წლის ივნისის თვეში სკოლამდელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი მიეძღვნა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს.

თათბირ-სემინარის მზადების პერიოდში ადგილობრივი, სამეურნეო და საშეფო ორგანიზაციების მხარდაჭერის, დაინტერესებისა და დახმარების შედეგად ამაღლდა სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა საჭყუმპალაო-საცურაო აუზები, შენობებს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი, მოეწყო ეზოები, შეძენილ იქნა ინვენტარ-მოწყობილობანი, დამზადდა თვალსაჩინო დიდაქტიკური სათამაშოები, შეიქმნა ბავშვთა ყოფაცხოვრებისათვის სათანადო პირობები.

თათბირ-სემინარს წინ უძღოდა აღსაზრდელთა და აღმზრდელთა ნამუშევრების გამოფენა, წარმოდგენილი იყო მინი სპორტული ინვენტარ-მოწყობილობათა მაკეტები. თეორიული ნაწილის დამთავრების შემდეგ თათბირ-სემინარის მონაწილენი პრაქტიკულად გაეცნენ ქუთაისის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობას, განსაკუთრებით ფიზიკურ აღზრდაში. ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაესწრნენ მეცადინეობებს და იმსჯელეს მათ ავკარგიანობაზე. ამასთან, ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა სპორტული ზეიმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის 47 სკოლამდელი დაწესებულების 500-ზე მეტმა აღსაზრდელმა.

აღსანიშნავია შეფი ორგანიზაციების მიერ სკოლამდელი დაწესებულებებისადმი ენერგიული და მონდომებული დახმარება. ასეთებია: ადგილმრეწველობის გაერთიანება (ამხ. ვ. კოღუაშვილი), პურპროდუქების **კომბინატი (ამხ. თ. შავგულიძე),** საავტომობილო ქარხანა (ამხ. თ. გენძეხაძე), ქალაქის საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველო (ამხ. თ. ზვიადაძე), ტრიკოტაჟის ფაბრიკა (ამხ. მ. ჭელიშვილი), საკონდიტრო ფაბრიკა (ამხ. რ. ჯინჯოლია), პურკომბინატი (ამხ. ბ. იამანიძე) და სხვ.

ქ. ქუთაისის № 1 ბაგა-ბაღს (ამხ. დ. ჯაფარიძე) შეფმა საავტომობილო ქარხანამ (ამხ. თ. გენძეხაძე) ჩაუტარა 23 ათასი მანეთის სამუშაოები: აუშენა საცურაო აუზი, გაუკეთა მინი სპორტმოედანი, კაპიტალური რემონტი, შემოუფარგლა ეზო და სხვ. ბევრი რამ გაკეთდა, აგრეთვე, საშეფო ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობითაც.

თათბირ-სემინარის ჩატარებასთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში ჩამოყალიბდა საწარმო „ყოფრემტექნიკა“ (ამხ. მ. ჯინჭველაშვილი), რომელიც ამზადებს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის ეზოს დანადგარებსა და სპორტულ ინვენტარ-მოწყობილობას.

თათბირ-სემინარის შედეგებმა ცხადყვეს სკოლამდელ მუშაკთა მაღალი პასუხისმგებლობა და დაინტერესება, რომელმაც განაპირობა თათბირ-სემინარის მუშაობის მაღალი დონე.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი სრულყოფის მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1 აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1. 1. კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე განიხილონ აღნიშნული გადაწყვეტილება და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები ფიზიკური აღზრდის შემდგომი სრულყოფისათვის;

1. 2. მიიღონ ყველა ზომა ფიზიკური კულტურის ახალი ტიპობრივი პროგრამის სკოლამდელ დაწესებულებებში პრაქტიკულად განხორციელებისათვის;

1. 3. შეარჩიონ და მიამაგრონ თითოეულ სკოლამდელ დაწესებულებას შეფი ორგანიზაცია, პრაქტიკაში დანერგონ შეფი ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობა სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის გაუმჯობესებაში.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

2. 1. აამაღლონ მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა თითოეული

აღმზრდელისა და სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, მეტი ყურადღება დაუთმონ ფიზიკური კულტურის შემდგომ სრულყოფას, ბავშვთა გასეირნებებსა და ჰაერზე ყოფნას, მტკიცე კონტროლი დააწესონ დღის რეჟიმის ზუსტად შესრულებაზე, გამამხნევებელი ვარჯიშების, მოძრავ თამაშობათა, გამაკაჟებელი პროცედურების სისტემატურ ჩატარებაზე, მარტივი ტურიზმის დანერგვაზე;

2. 2. სააღმზრდელო ჯგუფები უზრუნველყონ სათანადო სპორტული ინვენტარით, ეზოები დაგეგმონ იმდაგვარად, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფს ცალ-ცალკე ჰქონდეს მოედანი მოძრავი თამაშებისა და ვარჯიშების ჩატარებისათვის;

2. 3. ჯანმრთელობის ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებითა და მიზანმიმართული მუშაობით, მიაღწიონ ბავშვთა დაავადებათა შემცირებასა და გაცდენის შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანას.

3. სკოლამდელი აღზრდის სამართველომ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდკაბინეტთან ერთად მოამზადოს კრებული ფიზიკური აღზრდის საკითხებზე, ხოლო სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) 1985 წლისათვის უზრუნველყოს მისი დასტამბვა.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. გვათუა) და სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) უზრუნველყონ აღმზრდელებისა და სამედიცინო პერსონალის გადამზადება რეგიონების მიხედვით.

5. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ (ამხ. დ. კვინიკაძე) სკოლამდელი აღზრდის სამმართველოსთან ერთად (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) გააძლიეროს მუშაობა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი სრულყოფის მიმართულებით და უფრო მიზნობრივად და ინტენსიურად გამოიყენოს ამ მხრივ მეთოდური სამსახურები.

6. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) სკოლამდელი აღზრდის სამმართველოსთან ერთად (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) წარმოადგინოს დასაჯილდოებლად მუშაკთა ჯგუფი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო თათბირ-სემინარის მომზადება-ჩატარებაში.

7. სკოლამდელი აღზრდის სამმართველომ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ 1984 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ Გ Ა Დ Ა Წ Ყ Ვ Ე Ტ Ი Ლ Ე Ბ Ა

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შ ე ს ა ხ ე ბ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებების შესრულების მიზნით კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა:

1. 1. მიიღონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებები სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად; განიხილონ ისინი კოლეგიებისა და საბჭოების სხდომებზე, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, დასახონ მათი განხორციელების გზები;

1. 2. გააძლიერონ დახმარება და კონტროლი სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების საქმიანობაზე, დადგენილებების შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აღსაზრდელთა კვების, საყოფაცხოვრებო პირობებისა და კულტურულ-სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

1. 3. განამტკიცონ ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების შრომითი სწავლების მატერიალური ბაზა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სპეციალურ სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში ანომალურ ბავშვთა შრომით სწავლებასა და მათ პროფესიულ ორიენტაციას. ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების დახმარებით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატებს (სპეციალურ სკოლებს) შეურჩიონ საბაზო საწარმოები (ორგანიზაციები), რომელთაც დაევალებათ მოსწავლეთა შრომითი სწავლების ორგანიზაცია;

1. 4. გააძლიერონ ინტერნატულ დაწესებულებებთან არსებული სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობები. შესაბამის ორგანიზაციებში განაცხადების წარსადგენად საქართველოს სსრ განათლების სამი-

ნისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს დროულად წარუდგინონ მოთხოვნები ინტერნატულ დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისათვის თესლის, სასუქების, შინაური ფრინველის, პროდუქტიული და მუშა პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის მისაღებად.

2. სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების დირექტორებმა:

2. 1. მიიღონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებანი სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად;

2. 2. შემოქმედებითად მიუდგნენ სწავლებისა და აღზრდის საქმეს, სწავლების თანამედროვე მეთოდების ფართოდ დანერგვის გზით მიაღწიონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა შრომით აღზრდას, მათში შრომისადმი სიყვარულისა და შრომითი ჩვევების გამომუშავებას, გაუღვივონ მათ ინტერესი შრომითი პროფესიებისადმი, საბაზო საწარმოების დახმარებით შეუხამონ შრომითი სწავლება მწარმოებლურ შრომას, სწორად განსაზღვრონ შრომითი სწავლების პროფილები, მიუსადაგონ ისინი რეგიონში არსებულ მსხვილ საწარმოთა პროფილებს;

2. 3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილების შესაბამისად (მ. 4) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარ სამმართველოს წარმოუდგინონ განაცხადები სხვადასხვა მასალებზე, რომლითაც აღსაზრდელები საკუთარი ძალებით საჭირო ასორტიმენტით, დაამზადებენ მზა ნაწარმს, გამოიყენებენ შრომითი აღზრდის მეცადინეობებზე;

2. 4. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სასწავლო-საცდელი დამხმარე მეურნეობების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების მიმართებით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 დადგენილების შესაბამისად (მ. 25) მიაღწიონ ინტერნატული დაწესებულებების დამხმარე მეურნეობებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფას. ფართოდ გამოიყენონ ამ მიმართებით შეფი ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. შეარჩიონ დამხმარე მეურნეობის ხელმძღვანელებად კვალიფიციური სპეციალისტები, შექმნან ამ უბანზე აღსაზრდელთა მუშაობის გარკვეული სისტემა;

2. 5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილების შესაბამისად (მ. 2) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დროულად წარმოუდგინონ განაცხადები დამხმარე მეურნეობებისათვის თესლის, სასუქების, შინაური ფრინველის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქტიული და მუშა პირუტყვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის შისაღებად;

2. 4. მკაცრი კონტროლი დააწესონ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციაზე, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად მიაღწიონ ინტერნატული დაწესებულებების ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით შეუფერხებელ მომარაგებას. უზრუნველყონ კვების ბლოკები აუცილებელი დანადგარ-მოწყობილობებით, დგამ-ავეჯითა და შესაბამისი ინვენტარით. მტკიცედ დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები;

2. 5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებები და საქართოელოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და მისი განხორციელების მიზნით შეიმუშაონ შესაბამისი ღონისძიებები.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების დაგეგმვისა და დაფინანსების დროს მკაცრად იხელმძღვანელოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 5 იანვრის № 25 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 4 ივნისის № 364 დადგენილებებიდან გამომდინარე ახალი დებულებებითა და ნორმებით. დააწესოს სისტემატური კონტროლი მათ განუხრელ შესრულებაზე.

4. კადრების სამმართველომ (ამხ. ა. ვაჩნაძე) მკაცრი კონტროლი დააწესოს სპეციალური სკოლა-ინტერნატების (სკოლების) დეფექტოლოგიური განათლების მქონე კადრებით დაკომპლექტებაზე, უზრუნველყოს მათი მიზნობრივი გადამზადება.

5. სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყოს საბავშვო სახლები და სკოლა-ინტერნატები სასკოლო სახელმძღვანელოებით, მეთოდური ლიტერატურითა და სხვა დამხმარე სასწავლო-დიდაქტიკური მასალებით. დააკომპლექტოს ინტერნატული დაწესებულებების ბიბლიოთეკები აღსაზრდელთა ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭირო ლიტერატურით.

— სახელმძღვანელოების გამოცემის 1985 წლის თემატურ გეგმაში გაითვალისწინოს სპეიცალური სკოლებისათვის ორიგინალური და ნათარგმნი სახელმძღვანელოების გამოცემა.

— სრულყოს ინტერნატულ დაწესებულებებში სასწავლო სახელმძღვანელოების საბიბლიოთეკო ფონდების შევსება-დაცვის ორგანიზაცია.

6. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. ქ. ძლიერიშვილი) საჭირო ასორტიმენტის გათვალისწინებით, დადგენილი ნორმების შე-

შესაბამისად უზრუნველყოს ინტერნატული დაწესებულებები თანამედროვე ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, რბილი ინვენტარით, საწარმოო მოწყობილობებით, ავეჯითა და სხვა ინვენტარით;

— სისტემატური კონტროლი დააწესოს ინვენტარის ხარისხზე და მიწოდების ორგანიზაციაზე. უზრუნველყოს ინტერნატული დაწესებულებები აუცილებელი სამეწველო საქონლით.

— გამოუყოს სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს, მათი მოთხოვნის შესაბამისად, ბამბისა და სხვა ქსოვილები (მზა ნაწარმის ნაცვლად), ტყავისა და სხვა მასალები აღსაზრდელთა ძალებით ლოგინ-ქვეშაგების, საცვლებისა და ზედა ტანსაცმლის შესაკერად, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკეთებლად;

6. 1. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვროს მარტივი ტიპის შეკერილი ნაწარმის ასორტიმენტი და მის შესაკერად საჭირო ქსოვილის რაოდენობა, რომლის შეკერვაც მოხდება აღსაზრდელთა ძალებით;

— უზრუნველყოს აღნიშნული ქსოვილის მიღება და გაცემა ინტერნატული ტიპის დაწესებულებებზე;

— დადგენილ ვადაში მოამზადოს წინადადებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით;

6. 2. უზრუნველყოს განაცხადების წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებათა აღსაზრდელების შრომითი აღზრდის მეცადინეობისათვის საჭირო მასალებზე და საავტომობილო ტრანსპორტზე;

6. 3. უზრუნველყოს ნაკრები განაცხადების წარდგენა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში, ინტერნატულ დაწესებულებათა დამხმარე მეურნეობებისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ინვენტარის, თესლის, სასუქების, შინაური ფრინველის, პროდუქტიული და მუშა-პირუტყვის გამოსაყოფად.

7. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ბ. აფხაზავა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებებში სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობაზე, არ დაუშვას დაუმთავრებელი და დეფექტებით შესრულებული სამუშაოების მიღება.

ინტერნატული დაწესებულებების მშენებლობისათვის პროექტების დამუშავების დროს, შესაძლებლობის შესაბამისად გაითვალისწინოს მათთან დამხმარე მეურნეობებისათვის და აღსაზრდელთა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად აუცილებელი ნაგებობების მშენებლობა.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. პ. თუთბერიძე):

8. 1. გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი ინტერნატული ტიპის სასწავლო დაწესებულებების მუშაობაზე, იზრუნოს აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების, კვების, სანიტარიულ-ჰიგიენური, კულტურული, სამედიცინო მომსახურებისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

8. 2. განამტკიცოს ინტერნატული დაწესებულებების შრომითი სწავლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწორად განსაზღვროს შრომითი სწავლების პროფილები, ფართოდ დანერგოს ინტერნატულ დაწესებულებებში მწარმოებლური შრომა, იზრუნოს არსებული დამხმარე მეურნეობების შემდგომი გაძლიერება-სრულყოფისათვის;

8. 3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად, აღნიშნული დადგენილებების შესაბამისად, გააძლიეროს კონტროლი ინტერნატულ დაწესებულებებში ბავშვთა კვების სამედიცინო მომსახურებისა და ფიზიკური აღზრდის ორგანიზაციისადმი;

— უზრუნველყოს ინტერნატულ დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება მედიკამენტებით, სამედიცინო ტექნიკით, ბაქტერიული პრეპარატებით და სადეზინფექციო საშუალებებით;

— წესად იქნას შემოღებული წელიწადში ორჯერ ინტერნატული დაწესებულებების აღსაზრდელთა გაღრმავებული სამედიცინო შემოწმება.

9. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. შ. ამონაშვილი):

9. 1. გააფართოოს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და ჯანმრთელობის დაცვის პრობლემათა კვლევის პროგრამა, მოამზადოს მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოები და რეკომენდაციები ინტერნატულ დაწესებულებათა მუშაობის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე.

10. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. რ. ძერია) პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები ინტერნატული დაწესებულებების მუშაობისა და მოწინავე პედაგოგ-აღმზრდელთა საქმიანობის შესახებ.

11. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს ინტერნატული დაწესებულებების დირექტორებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების

სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს, ქ. თბილისის განათლების სამმართველოს უფროსს, ხოლო კონტროლი მის შესრულებაზე დაევალოს საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. მ. კობახიძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# РЕШЕНИЕ
# КОЛЛЕГИИ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О дальнейшем улучшении работы общеобразовательных школ-интернатов, детских домов и других интернатных учреждений республики**

**19 июля 1984 года**

Во исполнение постановлений Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 и Совета Министров ГССР от 4 июня 1984 года № 364 коллегия решает:

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования городов и районов республики, начальнику Управления народного образования г. Тбилиси:

1. 1. Принять для руководства и исполнения постановления Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 и Совета Министров ГССР от 4 июня 1984 года № 364; рассмотреть их на заседаниях коллегий и советах народного образования, разработать конкретные мероприятия, наметить пути их осуществления.

1. 2. Усилить помощь и контроль за деятельностью школ-интернатов, детских домов и других интернатных учреждений, в соотвествии с вышеотмеченными постановлениями разработать и осуществить мероприятия с целью дальнейшего улучшения материально-технической базы, питания, бытовых условий и культурно-медицинского обслуживания воспитанников интернатных учреждений.

1. 3. Укрепить материальную базу трудового обучения учреждений интернатного типа. Особое внимание уделить в специальных школах и школах-интернатах трудовому обучению и профессиональной ориентации аномальных детей. С помощью Советов Министров автономных республик, Юго-Осетинского облисполкома, исполкомов городских и районных Советов народных депутатов закрепить общеобразовательные школы-интернаты (специальные школы) за базовыми предприятиями (организациями), которым будет поручена организация трудового обучения учащихся.

1. 4. Усилить имеющиеся при интернатных учреждениях учебно-опытные подсобные хозяйства. Для представления заявок в соответствующие организации представлять Главному управлению снабжения Министерства просвещения ГССР требования на получение зерна, удобрений, домашней птицы, продуктивного и рабочего скота, сельскохозяйственных машин и инвентаря для подсобных хозяйств интернатных учреждений.

2. Директорам школ-интернатов, детских домов и других интернатных учреждений:

2. 1. Принять для руководства и исполнения постановления Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 и Совета Министров ГССР от 4 июня 1984 года № 364.

2. 2. Творчески подходить к делу обучения и воспитания, путем широкого внедрения современных методов обучения добиться дальнейшего роста эффективности учебно-воспитательного процесса. Особое внимание уделить трудовому воспитанию учащихся, выработке у них любви к труду, трудовых навыков, возбудить интерес к трудовых профессиям; с помощью базовых предприятий сочетать трудовое обучение с производительным трудом, правильно определять профили трудового обучения, привести их в соответствие с имеющимися в регионе профилями крупных предприятий.

2. 3. В соответствии с п. 4 постановления Совета Министров СССР от 4 июня 1984 года № 364 представить Главному управлению снабжения Министерства просвещения ГССР заявки на разные материалы, из которых воспитанники собственными силами в нужном ассортименте изготовят изделия, используют их на занятиях трудового воспитания.

2. 4. Усилить руководство и контроль за организацией и функционированием учебно-опытных подсобных хозяйств. В соответствии с п. 25 постановления Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 добиться выделения земельных участков для подсобных хозяйств интернатных учреждений. Широко использовать в этом направлении шефские организации, колхозы и совхозы. Подбирать руководителями подсобных хозяйств квалифициорванных специалистов, создать на этом участке определенную систему работы воспитанников.

2. 5. В соответствии с п. 2 постановления Совета Министров ГССР от 4 июня 1984 года № 364 своевременно представлять Министерству просвещения ГССР заявки на получение зерна, удобрений, домашней птицы, продуктивного и рабочего скота, сельскохозяйствнных машин и инвентаря для подсобных хозяйств.

2. 6. Установить строгий контроль за организацией питания воспитанников, в соответствии с вышеотмеченными постановлениями добиться безпрепятственного снабжения интернатных учреждений предусмотренными нормой продуктами питания. Обеспечить блоки питания необходимым оборудованием, мебелью и соответствующим инвентарем. Строго соблюдать санитарно-гигиенические нормы.

2. 7. Рассмотреть постановления Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 и Совета Министров ГССР от 4 июня 1984 года № 364 на заседаниях педагогических советов и разработать соответствующие мероприятия с целью их осуществления.

3. Планово-финансовому управлению (тов. О. Кереселидзе) при планировании и финансировании школ-интернатов, детских домов и других интернатных учреждений строго руководствоваться новыми положениями и нормами, изложенными в постановлениях Совета Министров СССР от 5 января 1984 года № 25 и Совета Министров ГССР от 4 июня 1984 года № 364. Установить систематический контроль за их неуклонным выполнением.

4. Управлению кадров (тов. А. Вачнадзе) установить строгий контроль за укомплектованием специальных школ-интернатов (школ) кадрами с дефектологическим образованием, обеспечить их целевую переподготовку.

5. Управлению учебников (тов. Н. Глонти) обеспечить детские дома и школы-интернаты учебниками, методической литературой и другими вспомогательными учебно-дидактическими материалами. Укомплектовать библиотеки интернатных учреждений необходимой литературой для всестороннего развития воспитанников.

В тематическом плане издания учебников на 1985 год предусмотреть издание оригинальных и переведенных учебников.

Совершенствовать организацию пополнения и сохранения в интернатных учреждениях библиотечных фондов учебников.

6. Главному управлению снабжения (тов. К. Дзлиеришвили) с учетом необходимого ассортимента и в соответствии с устано-

вленными нормами обеспечить интернатные учреждения современной одежой, обувью, мягким инвентарем, производственным оборудованием, мебелью и другим инвентарем.

Установить систематический контроль за качеством инвентаря и организацией поставки. Обеспечить интернатные учреждения необходимыми промышленными товарами.

Выделить школам-интернатам и детским домам, в соответствии с их заявками, хлопчатобумажные и другие ткани (взамен готовых изделий), кожаные и другие материалы для пошива силами воспитанников постельных принадлежностей, нательного белья и верхней одежды, ремонта одежды, и обуви.

6. 1. По согласованию с Министеством местной промышленности определить ассортимент пошивочных изделий простого типа и количество необходимой для пошива ткани силами воспитанников.

Обеспечить получение и выдачу интернатным учреждениям указанных тканей.

В установленный срок подготовить предложения для представления их в Госплан ГССР с целью внесения соответствующих изменений в Государственный план экономического развития ГССР.

6. 2. Обеспечить представление в Госплан ГССР заявок на материалы и автотранспорт, необходимые для занятий по трудовому воспитанию воспитанников интернатных школ.

6. 3. Обеспечить представление в Госкомитет сельскохозяйственного производства ГССР сводных заявок на выделение необходимых сельскохозяйственных машин, инвентаря, зерна, удобрений, домашней птицы, продуктивного и рабочего скота для подсобных хозяйств интернатных учрежений.

7. Отделу капитального строительства (тов. Б. Абхазава) усилить руководство и контроль за ходом ремонтных работ в интернатных учреждениях. Не допускать приема незавершенных или выполненных с дефектами работ.

При разработке проектов строительства интернатных учреждений по возможности предусмотреть строительство сооружений, необходимых для подсобных хозяйств и осуществления оздоровительных мероприятий.

8. Управлению школ-интернатов и детских домов (тов. Г. Тутберидзе):

8. 1. Усилить руководство и контроль за работой интернатных учреждений, заботиться о дальнейшем улучшении учебно-

воспитательного процесса, бытовых условий, питания, санитарно-гигиенического, культурного медицинско обслуживания воспитанников.

8. 2. Укрепить материально-техническую базу трудового обучения интернатных учреждений, правильно определить профили трудового обучения, широко внедрить в интернатные учреждения производительный труд, заботиться о дальнейшем укреплении и совершенствовании имеющихся подсобных хозяйств.

8. 3. Совместно с соответствующими службами Министерства здравоохранения ГССР в соответствии с указанными выше постановлениями, усилить контроль за организацией питания, медицинского обслуживания и физического воспитания детей интернатных учреждений.

Обеспечить безпрепятственное снабжение интернатных учреждений медикаментами, медтехникой, бактериальными препаратами и дезинфекцирующими средствами.

Ввести, как правило, тщательное медицинское обследование воспитанников интернатных учреждений два раза в год.

9. Научно-исследовательскому институту педагогических наук им. Я. Гогебашвили (тов. Ш. Амонашвили):

9. 1. Расширить программу исследования проблем воспитания, обучения и здравоохранения детей школ-интернатов и детских домов, подготовить методические вспомогательные учебники и рекомендации по самым актуальным вопросам работы интернатных учреждений.

10. Газете «Сахалхо ганатлеба» (тов. Н. Швелидзе) и журналу «Скола да цховреба» (тов. Р. Дзерия) периодически публиковать материалы о работе интернатных учреждений и деятельности передовых педагогов-воспитателей.

11. Персональную ответственность за выполнение настоящего решения возложить на директоров интернатных учреждений, Министров просвещения Абхазской и Аджарской автономных республик, заведующих отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов республики, начальника Управления народного образования г. Тбилиси, а контроль за выполнение — на первого заместителя Министра просвещения ГССР тов. М. Кобахидзе.

**Председатель коллегии,**
**Министр О. Д. Кинкладзе**

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1984 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ

1984 წლის 14—16 მაისს ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატის ბაზაზე კონკურსის დებულების სრული შესაბამისობით ჩატარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის დასკვნითი ტური.

ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის დასკვნით ტურში მონაწილეობდა ზონალურ ტურში გამარჯვებული ქ. ქ. თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისისა და ფოთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 58 ნორჩი მკერავი.

ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის დასკვნითი ტურისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში კარგად იმუშავეს თბილისის 31-ე, 43-ე, 116-ე, 118-ე, 128-ე, ბათუმის 24-ე, ცხინვალის მე-9. ფოთის მე-3, მე-4, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის 1-ლი და გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერას საშუალო სკოლებმა, რომელთა აღსაზრდელებმა სამკერვალო საქმის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლილიკური კონკურსის სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურების ჩატარებას ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ. იგი ზოგან ზერელედ, ფორმალურად იქნა ჩატარებული. ამის შედეგია, რომ კონკურსის დასკვნით ტურში ნაცვლად 84 მოსწავლისა, მონაწილეობდა 58 მოსწავლე.

კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ თელავის ზონის ნორჩ მკერავებს, ხოლო ქ. ქ. სოხუმის, ცხინვალისა და ქუთაისის ზონების კონკურსის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტებმა ვერ უზრუნველყვეს დასკვნით ტურში გუნდების სრული შემადგენლობით წარმოდგენა.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა კონკურსის დებულებით გათვალისწინებული დავალებების შესრულებისას ვერ გა-

მოამჟღავნა საკერავ მანქანაზე მუშაობის სათანადო უნარ-ჩვევები, ვერ ერკვეოდა ქსოვილთა დამუშავების ტექნოლოგიაში, საკერავი მანქანების მუშაობის რეჟიმის შერჩევაში. აღნიშნული და სხვა ნაკლოვანებები უმეტესწილად იმითაა გამოწვეული, რომმომსახურებითი შრომის მოსწავლეებისა და საწარმოო სწავლების ოსტატთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს კონკურსისათვის მოსწავლეთა სისტემატური მზადების საქმეს, არ ავლენს სამკერვალო საქმით დაინტერესებულ მოსწავლეებს, ხოლო სახალხო განათლების, კომკავშირის ადგილობრივი ორგანოები და მსუბუქი მრეწველობის სამკერვალო ფაბრიკის ხელმძღვანელი მუშაკები არ იჩენენ სათანადო დაინტერესებას და დაწესებული არ აქვთ კონტროლი.

კვლავ მოუწესრიგებელია რაიონის (საქალაქო) და ზონალური საორგანიზაციო კომიტეტების მიერ კონკურსის ჩატარების შესახებ ანგარიშებისა და განაცხადების განათლების სამინისტროში დროულად წარმოდგენის საქმე.

ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლიკურ კონკურსში მიღწეული წარმატებებისათვის 1,II და III ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდეს 12 მოსწავლე (დანართი 2).

2. ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი ჩატარდეს ოთხ ეტაპად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. სასკოლო კონკურსი ჩატარდეს 1985 წლის 31 ოქტომბრამდე, რაიონული (საქალაქო) 1985 წლის 15 დეკემბრამდე, ზონალური 1986 წლის 21—22 იანვარს, რესპუბლიკური — 1986 წლის 26—28 მარტს.

3. დამტკიცდეს ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების დებულება და პირობები (თან ერთვის).

4. დამტკიცდეს ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩამტარებელი რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

კობახიძე მ. კ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარე)

შეწირული ე. თ. — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)

ხაჩიძე მ. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი (თავმჯდომარის მოადგილე)

დობორჯგინიძე ზ. ს. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (მდივანი)

ტატიშვილი თ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი, კოლეგიის წევრი

ალავერდაშვილი ა. ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე

კასრაძე ი. ი. — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შრომის ორგანიზაციის, ხელფასისა და მუშათა კადრების სამმართველოს უფროსი

გეგიძე ვ. ვ. — საქართველოს სამრეწველო სამკერვალო გაერთიანების უფროსი

ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი

დევდარიანი გ. ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომითი სწავლებისა და პროფორიენტაციის სექტორის გამგე

გახელაძე რ. ლ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური კაბინეტის დირექტორი

ტონია ს. კ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

მანგიაშვილი შ. ზ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდური კაბინეტის შრომითი სწავლების განყოფილების გამგე

ფილაშვილი **ლ. მ. — საქართველოს სსრ** განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის პროფორიენტაციის კაბინეტის გამგე

იაშვილი ლ. ე. — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი

მასურაძე ც. ფ. — თბილისის კალინინის რაიონის სასწავლო-საწარმოო კომბინატის დირექტორის მოადგილე

კვიწინიძე ე. დ. — თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მომსახურებითი შრომის მასწავლებელი

5. ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა:

5. 1. წინასწარ შედგენილი სამუშაო გეგმის მიხედვით უხელმძღვანელოს ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებას, გაწეული მუშაობის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუ-

ბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს:

5. 2. დროულად ჩაატაროს ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების მოსამზადებელი სამუშაოები, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოს საჭირო მასალებითა და მეთოდური მითითებებით;

5. 3. განახორციელოს ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარებაზე ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი.

6. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, კომკავშირის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა:

6. 1. განიხილონ ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარებისათვის;

6. 2. განახორციელონ ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარებაზე;

6. 3. უზრუნველყონ ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტში კონკურსის რაიონული (საქალაქო) და ზონალური ეტაპების ჩატარების ანგარიშებისა და კონკურსის დასკვნით ტურში მონაწილეობის შესახებ განაცხადების წარმოდგენა 1986 წლის 15 თებერვლამდე.

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სოხუმისა და ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკების, ბათუმის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო გაერთიანების, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანება „გელათის", თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობისა და 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების დირექტორებმა:

7. 1. დახმარება აღმოუჩინონ ნორჩ მკერავთა ზონალური კონკურსის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტებს კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო სამუშაო ადგილების, საკონკურსო თემატიკის შესაბამისად სათანადო მასალების მომზადების საქმეში;

7. 2. გამოყონ ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის სამუშაო მასალები.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) განათლების სამინისტროს

სასწავლო-მეთოდური კაბინეტის ბიუჯეტში 1986 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებისათვის საჭირო ხარჯები წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

9. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარებისათვის განათლების სამინისტროს სასწავლო-მეთოდურ კაბინეტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქაღალდი.

10. გაზეთების „სახალხო განათლების", „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, რ. ბალანჩივაძე, ვ. ანასტასიდი) დააწესონ თითო პრიზი ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად, პერიოდულად გამოაქვეყნონ მასალები კონკურსის მიმდინარეობის შესახებ.

11. ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესდეს სამახსოვრო პრიზები, მათ შორის:

11. 1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ოთხი პრიზი;

11. 2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ოთხი პრიზი;

11. 3. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ოთხი პრიზი;

11. 4. საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ოთხი პრიზი.

12. ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში ყველა მონაწილისათვის დაწესდეს სამახსოვრო სამკერდე ნიშანი.

13. დაწესდეს ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად ჩემპიონის ლენტი I,II,III ხარისხის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები.

14. რესპუბლიკური კონკურსის ყველა მონაწილეს მიეცეს სიგელი, სამახსოვრო სუვენირი და სამკერდე ნიშანი.

15. ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის მომზადება-ჩატარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების 8 მასწავლებელი (დანართი 3).

16. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა

(ამხ. თ. ტატიშვილი) და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შრომის ორგანიზაციის, ხელფასებისა და მუშათა კადრების მომზადების სამმართველოს (ამხ. ი. კასრაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ო. ქინქლაძე**

საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი
**ვ. ლორთქიფანიძე**

საქართველოს სსრ მსუბუქი
მრეწველობის მინისტრი
**გ. გამცემლიძე**

საქართველოს მსუბუქი მრეწვე-
ლობის მუშაკთა პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის თავმ-
მჯდომარე **ნ. ლაკია**

დანართი 1

## ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების პირობები და დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### I. კონკურსის მიზანი

შრომითი სწავლების, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესში მოსწავლეთა მიერ სამკერვალო საქმეში შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლინება.

სამკერვალო მრეწველობის პროფესიებისადმი მოსწავლეთა ინტერესის განვითარება და ამ პროფესიების პროპაგანდა.

საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი მიმართულებით პროფორიენტაციული მუშაობის, შრომითი სწავლებისა და აღზრდის წარმართვის გაძლიერება, მოსწავლეთა მწარმოებლურ შრომაში ჩაბმა.

### II. კონკურსის ორგანიზაცია და ჩატარების წესები

სასკოლო კონკურსს ატარებენ სკოლებისა და მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ადმინისტრაცია, პედაგოგიური კოლექტივები და კომკავშირული ორგანიზაციები მსუბუქი მრეწველობის სამრეწველო ორგანიზაციებთან ერთად.

რაიონულ (საქალაქო) კონკურსებს ატარებენ შესაბამისი სახალხო განათლების განყოფილებები, კომკავშირული კომიტეტები სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატების ან მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამრეწველო ორგანიზაციების ბაზაზე.

რესპუბლიკურ კონკურსს ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი.

ნორჩ მკერავთა მე-3 რესპუბლიკური კონკურსი ტარდება ოთხ ეტაპად სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. შესაბამისად იქმნება საორგანიზაციო კომიტეტები.

რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი განისაზღვრება 9 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება 11 წევრით, კომიტეტის შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი.

ზონალური კონკურსის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია შვიდ ზონად, ზონის ცენტრებად შერჩეულია:

1. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ, მახარაძის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
3. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. გორის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, ბორჯომის, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
4. ქ. ქუთაისი — ქუთაისის, ამბროლაურის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, ონის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ზესტაფონის, ცაგერის, თერჯოლის, ჭიათურის, წყალტუბოსა და წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
5. ქ. თბილისი — თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, წალკის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
6. ქ. ფოთი — ქ. ფოთის, ქ. ზუგდიდის, აბაშის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, ვანის სამტრედიის, მესტიის, ხობის, ცხაკაიას, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
7. ქ. თელავი — თელავის, ახმეტის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ყვარლის, თიანეთისა და საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის

სასკოლო კონკურსი ჩატარდეს 1985 წლის 31 ოქტომბრამდე, რაიონული (საქალაქო) ეტაპი ტარდება 1985 წელს. რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტი I და II ადგილებზე გამოსულ მოსწავლეთა სიას წარადგენს ზონალურ საორგანიზაციო კომიტეტში 1985 წლის 10 ნოემბრამდე, ზონალურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ზონალური კონკურსი ტარდება 1986 წლის 21—22 იანვარს ერთდროულად ყველა მონაწილისათვის.

ზონალურ ტურში I,II,III ადგილებზე გამოსულ მოსწავლეთა სიას, ზონის საორგანიზაციო კომიტეტი აგზავნის რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში 1986 წლის 15 თებერვლამდე, რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

დასკვნითი ეტაპი — რესპუბლიკური კონკურსი ტარდება 1986 წლის 26-28 მარტს ქ. თბილისში ერთდროულად ყველა მონაწილისათვის.

რესპუბლიკურ კონკურსში საპრიზო ადგილზე გამოსული ნორჩი მკერავები იგზავნებიან ნორჩ მკერავთა საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ხარჯებს კონკურსის მონაწილეთა ადგილზე გასამგზავრებლად და უკან დასაბრუნებლად ეწევა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები.

კონკურსის ჩატარების, ნორჩ მკერავთა ბინითა და კვებით უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯებს გაიღებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ზონის ცენტრის სახალხო განათლების განყოფილებები.

## III. ნორჩ მკერავთა კონკურსის პროგრამა

მოსწავლეები ერთმანეთს ეჯიბრებიან სამკერვალო საქმის ცოდნაში, რომელიც შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. სამკერვალო საქმის თეორიის მცოდნეთა კონკურსს;
2. ბავის ასაკის ბავშვის კაბის არართული დეტალების პრაქტიკულ შესრულებას (პირობები თან ერთვის).

## IV. კონკურსის მონაწილენი და უზრუნველყოფა

ნორჩ მკერავთა კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა VII-X კლასების მოსწავლეებს, რომლებიც გამოავლენენ სამკერვალო თეორიის კარგ ცოდნასა და პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევებს (შრომით სწავლებაში ყველა კლასის მოსწავლეთა მომზადების დონის გათვალისწინებით) და დადებითად ხასიათდებიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

მონაწილეთა რაოდენობას განსაზღვრავენ კონკურსის ორგანიზატორები. ზონალურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნებიან რაიონულ (საქალაქო) კონკურსში პირველ ადგილზე გამოსული ნორჩი მკერავები, ერთი ხელმძღვანელი და მასწავლებელი.

რესპუბლიკურ დასკვნით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნებიან ზონალურ კონკურსში გამარჯვებული I, II და III ადგილზე გამოსული ნორჩი მკერავები, ერთი ხელმძღვანელი და მასწავლებლები.

ხარჯებს კონკურსის ადგილზე გასამგზავრებლად და უკან დასაბრუნებლად ეწევა ორგანიზაცია ან დაწესებულება, ვისგანაც მონაწილენი იგზავნებიან.

## V. კონკურსის ჩატარების ადგილი და დრო

ზონალური ტური ტარდება ზონის ცენტრებში, ხოლო რესპუბლიკური ქ. თბილისში.

სასკოლო, რაიონული (საქალაქო) კონკურსი ტარდება წელიწადში ერთხელ. რაიონულ კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან სასკოლო კონკურსში გამარჯვებულები.

რესპუბლიკური, ზონალური, კონკურსი ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.

ზონალურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან რაიონულ (საქალაქო) კონკურსში გამარჯვებულები.

რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ზონალურ კონკურსში გამარჯვებულები.

ნორჩ მკერავთა კონკურსზე მონაწილენი ცხადდებიან ერთი დღით ადრე და რჩებიან კონკურსის დამთავრებამდე.

რესპუბლიკური და ზონალური ტურის გახსნა, დახურვა და გამარჯვებულთა დაჯილდოება ტარდება საზეიმო ვითარებაში.

## VI. შედეგების განსაზღვრა

### ნორჩ მკერავთა რესპუბლიკური კონკურსის მონაწილის მიერ შესრულებული სამუშაოსა და თეორიული ცოდნის შეფასება

VII კლასი

| დასამუშავებელი კვანძი | ქულათა რაოდენობა შესრულების ხარისხზე | ქულათა რაოდენობა შესრულების ხარისხზე | ქულათა რაოდენობა თეორიულ ცოდნაში | სულ ქულათა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ჰანჟეტის დამუშავება | 60 | 30 | 10 | 100 |

VIII კლასი

| დასამუშავებელი კვანძი | ქულათა რაოდენობა შესრულების ხარისხზე | ქულათა რაოდენობა შესრულების ხარისხზე | ქულათა რაოდენობა თეორიულ ცოდნაში | სულ ქულათა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| საყელოს დამუშავება | 60 | 30 | 10 | 100 |

IX კლასი

| დასამუშავებელი კვანძი | ქულათა რაოდენობა შესრულების ხარისხზე | ქულათა რაოდენობა შესრულების ხარისხზე | ქულათა რაოდენობა თეორიულ ცოდნაში | სულ ქულათა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ნადებითი ჯიბის დამუშავება და მიდარება კალთაზე | 60 | 30 | 10 | 100 |

X კლასი

| დასამუშავებელი კვანძი | ქულათა რაოდენობა შესრულების ხარისხზე | ქულათა რაოდენობა შესრულების ხარისხზე | ქულათა რაოდენობა თეორიულ ცოდნაში | სულ ქულათა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| უკანა კალთის დამუშავება | 60 | 30 | 10 | 100 |

კონკურსის მონაწილემ უნდა გამოამჟღავნოს შემდეგი საკითხების ღრმა ცოდნა:

— სამკერვალო მასალათმცოდნეობაში
— მანქანათმცოდნეობაში
— ქალის მსუბუქი ჩასაცმლის კონსტრუირებაში და მოდელირებაში
— სამკერვალო ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიაში
— თანამედროვე საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და ეკონომიკის საფუძვლებში
— სამკერვალო საწარმოების შემდგომი განვითარების პერსპექტივაში.

## VIII. კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და წახალისება

რაიონულ (საქალაქო) და ზონალურ კონკურსებში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან რაიონული (საქალაქო), ზონალური საორგანიზა-

ციო კომიტეტების მიერ სიგელებითა და წამახალისებელი პრიზებით.

რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებულები ჯილდოვდებიან:

I ადგილზე გამოსულნი — ჩემპიონის ლენტით, I ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით;

II ადგილზე გამოსულნი — II ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით;

III ადგილზე გამოსულნი — III ხარისხის დიპლომითა და ფასიანი საჩუქრით.

კონკურსში ყველა მონაწილეს გადაეცემა სიგელი და სამახსოვრო სამკერდე ნიშანი.

## IX. განაცხადის მიცემა

| № | მონაწილის გვარი, სახელი, მამის სახელი | დაბადების წელი და თვე | სკოლის დასახელება და კლასი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|

1.
2.
3.

ხელმძღვანელი

მასწავლებლები:

შენიშვნა: განაცხადები დამტკიცებული უნდა იყოს სახალხო განათლების სარაიონო (საქალაქო) განყოფილების მიერ. ხელმძღვანელი ვალდებულია ყოველ მონაწილეზე მსაჯთა კოლეგიას წარუდგინოს ცნობა სკოლიდან, რომელი სკოლისა და კლასის მოსწავლეა.

რაიმე მიზეზის გამო კონკურსში მონაწილეობაზე უარის შემთხვევაში ხელმძღვანელი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით აცნობოს კონკურსის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტს არა უგვიანეს 12 დღისა კონკურსის დაწყებამდე.

დანართი 2

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით დასაჯილდოებელ მოსწავლეთა სია:

1. სერანოვა ინა ვალერიანის ასული — ბათუმის 24-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
2. იაკოვენკო ნატალია ვიქტორის ასული — ფოთის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
3. შაეტიშვილი ხათუნა გივის ასული — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
4. ბუტაკოვა ლარისა ნიკოლოზის ასული — გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერას საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს II ხარისხის დიპლომით დასაჯილდოებელ მოსწავლეთა სია:

1. შევჩენკო სვეტლანა იურის ასული — თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
2. ფოფხაძე ხათუნა მიხეილის ასული — თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
3. თოდუა ხათუნა გერონტის ასული — გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერას საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
4. კუკლინა ელენე ალექსანდრეს ასული — ფოთის მე-4 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს III ხარისხის დიპლომით დასაჯილდოებელ მოსწავლეთა სია

1. ლაპაძე ნანა თეიმურაზის ასული — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე
2. აკიევა ტატიანა ტასოლთანის ასული — ცხინვალის მე-9 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
3. გევუჩაძე ინდირა რეზოს ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ ბოჩოყვათის 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
4. რეშიტოვა მარინა ალექსანდრეს ასული — თბილისის 128-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით დასაჯილდოებელ მოსწავლეთა სია:

1. იაშვილი ლია ერასტის ასული — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მეთოდისტი

2. ირემაშვილი ლამარა ზაქარიას ასული — თბილისის კალინინის რაიონის სასწავლო-საწარმოო კომბინატის სასწავლო-საწარმოო სწავლების ოსტატი

3. მელნიკოვა სვეტლანა ნიკოლოზის ასული — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის მომსახურებითი შრომის მასწავლებელი

4. ხარტიკოვა მერი გიორგის ასული — თბილისის 117-ე საშუალო სკოლის მომსახურებითი შრომის მასწავლებელი

5. მაისურაძე ცისანა ფილიპეს ასული — თბილისის კალინინის რაიონის სასწავლო-საწარმოო კომბინატის დირექტორის მოადგილე

6. კალტოვა ვალენტინა პამიოტის ასული — ბათუმის სასწავლო-საწარმოო კომბინატის სასწავლო-საწარმოო სწავლების ოსტატი

7. ხარიტოვა ია კიპრიანის ასული — თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მომსახურებითი შრომის მასწავლებელი

8. ქუსანაშვილი ნაზი იოსების ასული — თბილისის 31-ე საშუალო სკოლის მომსახურებითი შრომის მასწავლებელი

# შინაარსი


ბრძანება № 501 — ნორჩ ფიზიკოსთა 37-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 38-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შესახებ . . . 3

გადაწყვეტილება — მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა მე-17 რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მე-18 ოლიმპიადისათვის მზადების შესახებ . . . 8

Решение — об итогах V Республиканской олимпиады учащихся нерусских школ по русскому языку и литературе и мерах по проведению VI Республиканской олимпиады . . . 18

გადაწყვეტილება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „1941—1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავის შესახებ“ შუქზე რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების ამოცანების შესახებ . . . 23

Решение — о задачах органов народного образования республики в свете постановления ЦК КПСС «О 40-летии Победы советского народа в Великой Отечественной войне 1941—1945 годов» . . . 31

ბრძანება № 517 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1983 წლის 30 დეკემბრის № 1060 ბრძანების „რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებებში აღსაზრდელთა კვების მდგომარეობაში არსებული ნაკლოვანებების თაობაზე“ შესრულების მდგომარეობის შესახებ . . . 39

ბრძანება № 519 — რესპუბლიკის ინტერნატულ დაწესებულებათა 11-წლიან სწავლებაზე გადასვლისა და ექვსი წლის ასაკის ბავშვთა 1-ლ კლასში მიღების შესახებ . . . 45

გადაწყვეტილება — რესპუბლიკაში 1984 წელს ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა ატესტაციის შედეგებისა და 1984—1985 წელს მასწავლებელთა ატესტაციის ორგანიზებულად ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . . . 49

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის შემდგომი სრულყოფისა და ქუთაისში ჩატარებულ სკოლამდელ მუშაკთა თათბირ-სემინარის შედეგების შესახებ . . . 59

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვა ინტერნატული დაწესებულებების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ . . . 62

Решение — о дальнейшем улучшении работы общеобразовательных школ-интернатов, детских домов и других интернатных учреждений республики . . . 68

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნორჩ მკერავთა მე-2 რესპუბლიკური კონკურსის შედეგებისა და მე-3 რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების შესახებ . . . 73

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. ლოლიძე

გადაეცა ასაწყობად 12/IX-84 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/II-85 წ.
ანაწყობის ზომა $6^1/_4 \times 9$; ქაღალდის ზომა $60 \times 84$; ნაბეჭდი თაბახი 5,25
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.
შეკვ. № 670 უე 11055 ტირაჟი 6000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7
Типография Министерства просвещения ГССР, ул. Нуцубидзе № 7